სოციალ-დემოკრატიული მუშათა-პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 11 ოქტომბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი
50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 218 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 218

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი დედა დოდო ეგნატეს ასული, ძმები მიხეილ, გიორგი და დავითი გლახუნის ძენი, დები ვარდო და კესარია, რძალი ნინო იასონის ასული გოგოტიშვილები და სიძე ირაკლი ონისიმეს ძე ღლონტი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს, 12 ოქტომბერს (ახ. სტ.) თორმეტს საათზე სოფ. ვაკიჯვარის (ოზურგ. მაზრა) წმ. კვირიაკეს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ ჩვენი ძვირფასი

ზაქრო გლახუნის ძე გოგოტიშვილის

სულის მოსახსენებლად. ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: მართა ბექანის ასული, ალათი, იაკობ და ქსენია ჩ. ჩიბაიები, ნატალია ვაშაკიძისა, ლიზა ხუნდაძისა, ირინე ფესვიანიძისა, მარუსია კაკაბაძისა, ალათი კოხრეიძისა, ზაქარია, პეტრე, ივანე, პავლე და ილიკო ვაშაკიძეები, ხარიტონ ხუნდაძე და ვლადიმერ კაკაბაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, ღვინობისთვის 13 ს (ახალი სტილით) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სოფელ (სვირში) სიმონეთში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში და სოფელ ალერტში (სენაკის მაზრა) ალერტის ეკლესიაში პირველის ქმრისა, მეორეს და მესამის შვილისა, მეოთხის ძმისა, მეხუთის სიძისა, მეექვსის—მეთოთხმეტის დის ქმრისა, მეხუთმეტის და მეთექვსმეტის ქვისლისა ტრაღიკულად მოკლულის პროვიზორის

მიხეილ იაკობის ძის ჩაჩიბაიასი.

საქართველო და საერთაშორისო მდგომარეობა

საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა მჭიდროთ შეკავშირებულია შინაურ და საგარეო ურთიერთობასთან.

შინაური ძალთა განწყობილება დემოკრატიული წყობილების სასარგებლოთ ლაპარაკობს. ხალხის დიდი უმრავლესობა დემოკრატიული რესპუბლიკის თავდადებული მომხრეა და იგი იარაღით ხელში იცავს მას აქ მოღალატეობას და წინააღმდეგ მოძრაობას არავითარი ადგილი არ აქვს. საზოგადოების მოწინავე კლასი, პროლეტარიატი და მისი ერთგული დემოკრატია, რესპუბლიკის მთავრობის ყველა გადადგმულ ნაბიჯს მხარს უჭერს და მისი დემოკრატიული მოქმედება უზრუნველყოფს მუშებისა და წვრილ გლეხკაცობა ბურჟუაზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებებს.

შინაური ძალთა განწყობილება—ვიმეორებთ დემოკრატიული მთავრობის ღედაბოძია და უკანასკნელი მისი გამმაგრებელია. ამ მხრივ მთავრობა საბოლოვოთ დაზღვეულია და ანტიდემოკრატიული, მეტად უმნიშვნელო რეაქციონური მოძრაობა, ფართო მასაში ნიადაგს ვერ მოიპოვებს. ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ურთიერთობამ დემოკრატიული წყობილების მოწინააღმდეგე ელემენტები იმდენათ დაასუსტა, მათი რეაქციონური ძალა იმდენათ არარათ გახადა, რომ ისინი საკუთარ ძალ-ღონით ვერაფერს გახდებიან და მაშასადამე მათ თავისი ძალით აღდგენა გარეშე ძალის დახმარებაში უნდა ეძებონ.

ამ შემთხვევაში საქართველოს რეაქციონურ ძალებს გვერდში უდგებიან სხვადასხვა ერის გაბატონებული კლასები, ფსევდო-სოციალისტური პარტიები, და ყველა ესენი ერთი გზით ცდილობენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას.

მართალია ამ პარტიებს სხვადასხვა მიზანი და საშუალება აქვთ, მაგრამ მაინც ერთში არიან ისინი შეთანხმებული: საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ მოუნელებიათ და მას ყოველ მხრიდან თავს ესხმიან.

მაგრამ, რადგან მათ ამისათვის საკუთარი ძალა-უნარი, შესაფერი ორგანიზაცია არ შესწევთ და ისინი ერთობ სუსტები არიან დემოკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვადასხვა გარეშე ძალას ემყარებიან და სხვადასხვა ორიენტაციის მეოხებით ცდილობენ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევას.

ცრუ სოციალისტები მზათ არიან რუსეთის რეაქციონურ გენერლებს მხარი დაუჭირონ და ამ გზით თავიანთ ბიუროკრატიულ და შოვინისტურ მიზანს მიაღწიონ. ზოგიერთა ნაციონალისტები სხვა გარეშე ძალაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს და აქედან ელიან შველას.

განსაკუთრებით ახლა, როცა საერთაშორისო ურთიერთობა ახალ ხანაში გადადგა და იმპერიალისტურ ომის გათავება დემოკრატიული ზავის ნიადაგზე უნდა აშენდეს.

ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლებს და მათ ერთგულ მოსარჩლე გაყალბებულ სოციალისტებს კვლავ სურვილი აღძრათ დიდი რუსეთის აღდგენის და მისი ძველი ტერიტორიების გაერთიანების. თითქოს მომავალი საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია სპეციალურათ ამისათვის უნდა იქნას მოწვეული და მთელი მეომარ სახელმწიფოების დემოკრატიის მიზანს ძველი რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობის მიერ შექმნილ უზარმაზარი ტერიტორიების გაერთიანება შეადგენდეს. ასეთი უტოპია მხოლოდ ცრუ სოციალისტების ავათმყოფ ფანტაზიის ნაყოფია და ამაზე სერიოზული პოლიტიკური პარტია და ჭეშმარიტი დემოკრატია არ ფიქრობს.

თანამედროვე მსოფლიო იმპერიალისტური ომი წვრილ და განუვითარებელი ერების დაპყრობა-დამორჩილების ნიადაგზე წარმოიშვა და ეს დაუდვეს მას მთავარ სარჩულათ.

მხოლოდ საერთაშორისო დემოკრატია და მისი ხელმძღვანელი ინტერნაციონალური პროლეტარიატი ამ ტენდენციის მოწინააღმდეგეა და ყველა ერის და ხალხების დამოუკიდებლობას თავისუფლებას მოითხოვს. თითოეულ ერს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობა და იგი დამოუკიდებლათ უნდა შედიოდეს ამა თუ იმ განვითარებულ და და წინაურებულ სახელმწიფოების კავშირში, ასეთ გზის არჩევა მისი საკუთარი საქმეა და მასზე ძალდატანება არავის შეუძლიან.

დღეს დემოკრატიული ზავის ნიადაგი სავსებით მომწიფებულია და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მეტი საშუალება მიეცემა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება უზრუნველჰყოს.

საქართველოს დემოკრატიამ კარგა ხანია სწორი და გარკვეული ორიენტაცია აირჩია და იგი თავისებური სიმტკიცით და ერთგულებით დაიცავს მას. მას არას დროს არ სჩვევია ამა თუ იმ ორიენტაციის დღე მუდამ ცვლა, ყოველ ფეხის გადადგმაზე მისი გადატრიალება. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ჩვენი ორიენტაციის ობიექტი დემოკრატიის გზას დაადგა და იქ შეგნებულმა და ორგანიზაციულად შეკავშირებულმა პროლეტარიატ. სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში საპატიო ადგილი დაიკავა.

ჩვენ იქ ვხედავთ დემოკრატიის ერთგულ და გულწრფელ დამცველებს და მათ ასეთ მისწრაფებას მხარს დაუჭერს მთელი ევროპის და ამერიკის ფართო მასსა.

გერმანიის დემოკრატია ამ ჟამად ისეთი უტყუარი და შეურყეველი ძალაა, რომ ჩვენი დემოკრატია და დემოკრატიული წყობილება საუკეთესო დამცველს იპოვის. შინ დემოკრატიის გამაგრება და გერმანიაში დემოკრატიული წყობილების განმტკიცება უტყუარი საბუთია იმის, რომ ჩვენ შორის რაც დრო გავა კავშირი უფრო განმტკიცდება და გარეშე საფრთხე ვერაფერს დაგვაკლებს.

ამ სახით—საერთაშორისო ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიის, მის დემოკრატიულ წყობილების სასარგებლოთ ლაპარაკობს და ჩვენსა და ევროპის—განსაკუთრებით კი გერმანიის—დემოკრატიის შორის მტკიცე კავშირი დამყარდება. ასეთ კავშირის დამყარება კი ჩვენ საშუალებას მოგვცემს ყველა ქვეყნის დემოკრატიასთან სრული მეგობრული და ძმური განწყობილება ვიქონიოთ და ყველასთან მორიგებით ვიცხოვროთ. ევროპის დემოკრატიასთან მჭიდროთ დაკავშირება იმის თავდებია, რომ საქართველოს დემოკრატია სრულ ნეიტრალობას დაიცავს და არავისთან ომსა და შეტევას არ აწარმოებს. ჩვენ მიერ არჩეულ ორიენტაციას მტკიცე დემოკრატიული საძირკველი ჩაეყარა და ამაში ვხედავთ ჩვენ მტკიცე დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას.

ქალაქის საბჭოში

ესერ-დაშნაკელების ბლოკმა ლოღიკური დასკვნა გაუკეთა თავის მოქმედებას. მათი უნდობლობის რეზოლიუცია და უკანონო დადგენილება 30 ენკენისთვისა გაუქმებულ იქნა. საბჭომ რესპუბლიკის კანონის ასრულება და მთავრობასთან კონტაქტი არჩია—კონფლიქტს, ე. ი. მოიქცა ისე, როგორც შეფერის დემოკრატიულ თვითმართველობას დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მაგრამ ესერები, ან უკეთ ყოფილი ჩინოვნიკები ესერების ქურქში, ამას ვერ შეურიგდენ. მათ პრინციპიალური ბრძოლა გამოუცხადეს ს.-დ., რომელიც გამგეობას მეთაურობს. მათ ქალაქის საბჭო პოლიტიკურ ასპარეზათ უნდათ აქციონ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის საბჭოდან ეომონ. მართალია მათ პრინციპი არ მოეპოვებათ, მთელი მათი კრიტიკა მხოლოდ განუწყვეტელი ჩინოვნიკების გულის ბოღმის გადმონთხევაა, მეტი არაფერი.

ესერების ჩვენ სხვაგვარ ქცევას არც მოველოდით. მაგრამ საკვირველი იყო ქცევა დაშნაკელების. ეს უპრინციპო პარტია, პარტია რყევისა და წაჯექ-უკუჯექობისა, ამ ჟამათ ესერების ფეხის ხმას აყვა და თვითონაც გამგეობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ჩვენ გვახსოვს, როცა ეს პარტია თმას და წვერს იგლეჯდა, ჩვენ ფართო მასსა მოგვდევს, მათზე ზრუნვა გვსურს, და უნდა გამგეობაშიაც გვამუშავოთო. ახლა, როცა მართლა დიდი სამუშაო აქვს გამგეობას, ეს პარტია გაურბის საქმეს, რადგან სპეკულიაც. წინააღმდეგ შექმნილი—რაზმის დამწუნებელ როლში სურს ინავარდოს. ჩვენ ვიცით, რომ ამ რაზმით უკმაყოფილონი არიან მდიდართა კლასი, რომელიც სპეკულიანტობს და საქართველოს დემოკრატიის მტერნი, რომელნიც ნამდვილ კონტრ რევოლიუციონურ მუშაობას ეწევიან.

ორივე გვარი ელემენტი მოიპოვებიან სომხის ერშიაც, ისე როგორც სხვა ერებში.

ჩვენ გვეგონა, რომ დაშნაკელები მას შემდეგ, რაც მათ განაცხადეს საქართველოს პარლამენტში, ასეთ ელემენტებზე დაყრდნობას და მათი სურვილების აყოლას არ მოისურვებდენ. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ეს ხალხი დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს. ბოლოს და ბოლოს არ იცი, რა სახე აქვს მას, რა გზას მისდევს. რა პრინციპს აღიარებს. დღეს ინტერნაციონალიზმის ღმერთს ლოცულობს, ხვალ უკიდურესი ნაციონალისტია. დღეს მუშათა ინტერესებზე ოცნებობს, ხვალ ბურჟუაზიას უჩოქებს წინ და მის სპეკულიატიურ მისწრაფებებს ემსახურება.

ოთხშაბათის სხდომაზე ქალ. საბჭოში, მათ სწორეთ ამ უკანასკნელ პოზიციას მისცეს უპირატესობა. და ამით სომხის დემოკრატიულ ელემენტებს, რომელნიც დღემდე კიდევ მისდევენ ამ პარტიას, ზურგი შეაქციეს. დემოკრატიამ უნდა შესაფერი დასკვნა გააკეთოს მათი ასეთი მოქმედებიდან.

ბურჟუაზიის ჯიბის ინტერესების წინაშე გაითელა ინტერესები სომხის დემოკრატიის. დაშნაკელნი შეეცადენ მათს ჩამოშორებას დანარჩენ დემოკრატიისაგან სომხის ბურჟუაზიის სადღეგრძელოდ. დემოკრატია, ჩვენ იმედი გვაქვს, თვით გაიკვლევს სწორ გზას, დაინახავს თვის მოძმეთ სხვა ერის დემოკრატიაში, და მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებულათ წასვლას აირჩევს, ვინემ დაშნაკელების მონობაში დარჩენას.

მართალია დაშნაკელები ამტკიცებდენ ქალ. საბჭოში, რომ ისინი პოლიტიკურ ბრძოლას კი არ აპირებენ, არამედ საგანგებო რაზმს ვერ ურიგდებიან და ამიტომ ლოღიკურათ ვერ შედიან გამგეობაში. მაგრამ განა იმას მაინც ვერ ხედავენ, ვის კომპანიაში ამოყვეს თავი? ამ თავის ნაბიჯით ხომ გაუთანასწორდენ ჩინოვნიკების ესერებს, რომელნიც თვითმართველობაში პოლიტიკურ ბრძოლის გაჩაღებას გვპირდებიან. ისინიც ხომ მათ ამოუდგენ გვერდში და რა დასაბუთებაც უნდა მოიყვანონ, შედეგი განა ერთი და იგივე არ იქნება?

ესეც არ იყოს, თვით საკითხი საგანგებო რაზმისა არის საკითხი რესპუბლიკის კანონის ცნობის თუ არ ცნობის ე. ი. საკითხი უაღრესად პოლიტიკური. ბ-ნ დაშნაკელებმა რომ არგუმენტაციის ჩირგვნარში ხოხობივით თავი დამალონ, განა ბოლო არ გამოუჩნდება მათ საქციელს?

და ამ ბოლოს ხომ ყველა დაინახავს! ამ რიგათ ესერ-დაშნაკელებმა ოთხშაბათს ერთხელ კიდევ დაგვანახვეს, რომ მიდრეკილება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ისევ დიდია მათში, როგორც რუსის განაწყენებულ ჩინოვნიკობაში. საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია,—ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მომხრე და აღმშენებელი ამას სათანადო ანგარიშს გაუწევს.

ალექსეევშჩინა

კვლავ აირია საერთაშორისო მდგომარეობა. ბულგარეთის ღალატი და იქ დაწყებული „ბალშევიკური“ მოძრაობა საკმაოთ ართულებს ისედაც რთულს საერთაშორისო მდგომარეობას.

ჩვენმა პატარა სამშობლომ არ შეიძლება არ განიცადოს საერთაშორისო ცვლილების გავლენა. ამ მხრით ბუნებრივია ჩვენი სისუსტე და უმწეობა, როგორც ყველა სხვა პატარა სახელმწიფოსი.

მაგრამ ჩვენი ბედი საბოლოვოდ მაინც ჩვენს საკუთარს ხელშია და რამდენათ უფრო მოხზადებული დაგხვდებით საერთაშორისო ქარტეხილს, იმდენათ მეტი დამოუკიდებლობა შეგვრჩება ხელში.

ამიტომ არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ჩვენთვის ძლიერი ჯარის შექმნა და სამოქალაქო ცხოვრების განმტკიცება, როგორც დღეს. ამას კარგათ გრძნობენ ჩვენი მტრები როგორც გარეთ, ისე შიგნით და შემოსატევათ ემზადებიან.

ერთი ჩვენი მეზობელი თვით გარშემორტყმულია მტრების ჯარებით, მისი ბედი სტამბოლში და იორდანეს ნაპირებზე წყდება და ამიტომ ის ბუნებრივათ იქით მიილტვის. ეს გარემოება იმედებს აღუძრავს ჩვენს ავანტიურაში გახვეულ მეზობლებს და მოსალოდნელია ამ მეზობლებმა ისეთი ნაბიჯი გადასდგან, რომელიც დიდს საფრთხეში ჩააგდებს ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას.

მაგრამ ჩვენ გვყავს დღეს მტერი უფრო აშკარა და მოურიდებელი, ის უკვე დარაზმულია და მოხერხებულ მომენტს ეძებს, რომ თავს დაგვესხას.

ეს არის გენერალი ალექსეევი. მას უკვე საკმაოთ ძლიერი ჯარი ჰყავს დაგროვილი შავი ზღვის ნაპირებზე. ის ვითომ ბალშევიკებს ებრძვის, მაგრამ ნამდვილად კი ის ებრძვის ახალ რუსეთს და ცდილობს ძველი რუსეთის აღდგენას. მან ეს უკვე შესძლო, სადაც კი მისმა ბანდებმა ფეხი დასდგეს: ჩვენ ვიცით უკვე, რომ ყუბანის და შავი ზღვის ოლქებში ალექსეევმა შესძლო ძველი ჟანდარმული წესწყობილების აღდგენა.

ასეთივე წყობილების მოტანას უნდა მოველოდეთ ჩვენ გენ. ალექსეევისაგან, თუ, რასაკვირველია, მან მოახერხა ჩვენში შემოსვლა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჯარი და სახალხო გვარდია შესძლებენ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ ალექსეევის რაზმს, თუ კი ის ჩვენი საზღვრების გადმოლახვას გაბედავს.

მაგრამ ჯარის და გვარდიის ბრძოლა არ არის საკმაო.

ჩვენმა მთავრობამ და საზოგადოებამ ფხიზლათ უნდა ადევნონ თვალყური გენერალ ალექსეევის მომხრეების მოძრაობას შიგნით, უმთავრესათ აქ, თფილისში; ეჭვი არ არის, აქ დიდ მუშაობას ეწევიან ალექსეევის მომხრეები, რომელნიც ბლომათ არიან გაფანტულნი ადგილობრივ რუსთა ეროვნულ საბჭოში. რუსი აფიცრობა და ჩინოვნიკობა საუკეთესო და ერთგულეს ლაშქარს წარმოადგენენ ალექსეევის მიმდევართა შორის. არც სომეხი ნაციონალისტები იქნებიან გულზე ხელდაკრეფილები, მათ არა ერთი და ორი მაგალითი გვიჩვენეს ჩვენი რესპუბლიკის ღალატის.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ საქართველოს რესპუბლიკის მტრებში ქართველები არ იყვნენ. ეს არ არის მართალი. დღეს ალექსეევს მრავალი მომხრე ჰყავს იმ გარდამავალ წოდებაში, რომელმაც უკანასკნელი იმედი დაკარგა მიწების დაბრუნების. ჩვენი აგრარული კანონი უკვე ფაქტათ არის ქცეული და ჩვეულებრივის გზით მისი გაუქმება შეუძლებელია. ამიტომ საკმაოა ალექსეევის მოახლოება, რომ ჩვენი თავად აზნაურობა რუს სომეხ შოვინისტებს შეუერთდეს და ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ამხდრდეს.

ამიტომ საჭიროა დროზე იქნას მიღებული ზომები თფილისის და სხვა ადგილების გასაწმენდათ. არავითარ სისასტიკეს არ უნდა დაერიდოს ჩვენი მთავრობა, რომ ამ გზით აღმოფხვრას ყოველივე შესაძლებლობა კონტრ-რევოლიუციისა.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებს ფხიზლათ ადევნონ თვალ ყური მოღალატეების მოძრაობას, რომ სათავეშივე იქნას ჩაკლული ყოველი მოღალატური ნაბიჯი.

სანამ გვიან არ არის!

პრესა

დასავლეთის ფრონტზე მომხდარმა ცვლილებამ საღირღელი აუშალა სოციალისტურ ქურქში გახვეულ რუს იმპერიალისტებს. „ზნამია ნაროდა“ თითქმის ყველა წერილებს ამიერ-კავკასიას უძღვნის. მაგრამ მკითხველი ამაოთ მოელის ამ დაშნაკელების ტიპის სოციალისტებისაგან ერთა თვითგამორკვევისათვის მხარის დაჭერას. მოწინავე წერილი თითქოს ამის საბუთს იძლევა. იქ სწერია:

„საჭიროა გვახსოვდეს, რომ კავკასიის ხალხები უნდა წარსდგენ საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესზე ყოველგვარ ვალდებულებისაგან განთავისუფლებულნიო... დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ არა მარტო ბრესტის საზღვრების აღდგენაზე, არამედ ოსმალეთის წასვლაზე ყოფილ რუსეთის საზღვარს იქითო“.

ოსმალეთის წასვლას ჩვენც ვუჭერთ მხარს, მაგრამ რას ნიშნავს ყოველგვარ ვალდებულებისაგან განთავისუფლება? ჩვენ არ გვჩვევია დადებულ ხელშეკრულების დარღვევა.

მერე რისთვის უნდა უარვყოთ ყოველგვარი ვალდებულება? აი დაუგდეთ ყური:

„დღეს აშკარავდება სიბეცე იმ პოლიტიკისა, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის კეთილდღეობას ცენტრალურ სახელმწიფოებთან კავშირს აშენებდა... პირველ ხიდათ, რომელიც შეიძლება გადებულ იქნას მეორე ნაპირზე, ჩვენ ვთვლით რუსეთის დემოკრატიასთან კონტაქტის შექმნას, რომელიც იბრძვის ორივე მხრით შელახულ იდეალების აღსადგენათ“ და სხვ.

ასეთია ჩვენი რუს „მეგობრების“ გულის ტკივილი: ოსმალეთი მიდის, გერმანია სუსტდება,—საჭიროა რუსეთის საზღვრებში დაბრუნება. უნდა ვკითხოთ ამ ახირებულ სოციალისტებს: სურს კი ჩვენს ხალხს დამოუკიდებლობის დაკარგვა?

⁂

კადეტების „რეჩი“ საკითხს უფრო გულახდილათ აყენებს; თუ „ზნამია ნაროდა“ სოციალისტურ მორცხვობას იჩენს და „დემოკრატიის კონტაქტზე“ ლაპარაკობს, „რეჩი“ პირდაპირ ალექსეევისაკენ მოუწოდებს ყველას. აი რას სწერს ის:

„შექმნილი „ეროვნული ცენტრი“ უნდა დაეყრდნოს ეროვნულ ბლოკს და იმოქმედოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ჯარის შემწეობით—ეს უკანასკნელი ხასიათი უკვე მიიღო რუსის ჯარმა (ყოფილმა თავისუფალმა ჯარმა გენ. ალექსეევისა)“.

როდის დაიშლიან ეს ვაჟბატონები საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას?

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

9 ოქტომბერი.

მოსკოვი. ცენტ. აღმ. კომიტეტის ბიულეტენი: სამარა აიღეს ჩვენმა ჯარებმა. მოწინააღმდეგემ დაიკავა სადგური დონატოვო. ოსინის მიმართულებით ჩვენებმა დაიპყრეს იანაული. ურალის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სოფელი, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვევლები. კასპიის ზღვის პირას ბრიანსკისთან მტერმა დესანტი გადმოსხა.

ბერლინი. გერმანიის და ავსტრიის მთავრობამ მიმართეს ნეიტრალურ სახელმწიფოებს და ვილსონს, რათა მიიღონ მათ ზომები, რომ დაუყონებლივ დროებითი ზავი ჩამოვარდეს ყველა ფრონტებზე.

ვენა. გაიხსნა იტალიის პარლამენტი ორლანდომ წარმოსთქვა საზეიმო სიტყვა. შეიპყრეს ბისოლოტი, რომლის სიტყვა მთავრობის აზრით იყო მიმართული ჯარის გამარჯვების წინააღმდეგ. გერმანიის ცნობით ოსმალთა მთავრობამ ანალოგიური წინადადებით მიმართა ვილსონს და გერმანიასთან ერთად მათაც მოითხოვეს საომარ მოქმედების შეწყვეტა.

გერმანიის ნოტამ 5 ოქტომბერს წარმოთქმულმა და კანცლერის სიტყვამ რეიხსტაგში დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. პრესა დაწვრილებით არჩევს. კონსერვატიული გაზეთის „კრეიცერ ცეიტუნგი“ სწერს: „მას შემდეგ, რაც მიღებულია ზომები ზავის ჩამოსაგდებათ, პატრიოტული მოვალეობაა ყველასი ხელი შეუწყოს ამგვარ ზავის ჩამოგდებას“. კონსერვატორებსაც სურთ საპატიო ზავი.

სოფია. სახალხო კრება გადაიდო 15 ოქტომბრისათვის, ამ დროიდანვე დაიწყება პარლამენტის ჩვეულებრივი კრებები.

კიევი. გერმანიის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ ტყუილია ის ცნობები ვითომც გერმანელებს დაეტოვებინოთ უკრაინა. გერმანიის ჯარი აუცილებლივ დარჩება უკრაინაში.

კიევი. დაიწყო მოლაპარაკება უკრაინასა და რუმინიის შუა. მაღაროების პატრონებმა და მოგილიოვის მემამულეებმა სთხოვეს უკრაინას, რომ ბელორუსია შეიერთონ.

ტრანს-ოკეანეს პრესის ცნობა. 5 ოქტომბერს ნაშუადღევს, გაიხსნა გერმანიის რეიხსტაგის შესანიშნავი სხდომა, ამ სხდომაზე ახალმა კანცლერმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც მან ნათლად გაარკვია თავისი სამოქმედო პროგრამა: „მე მოწვეული ვარ ჩავუდგე მთავრობას სათავეში. ახლათ შემოღებული მმართველობის მეთოდი მოითხოვს, რომ მე დაუყონებლივ წარუდგინო რეიხსტაგს და ხალხს ჩემი მოქმედების გეგმის უმთავრესი პრინციპები, რომელზედაც მე მსურს დავამყარო ჩემი მოქმედება. ეს პრინციპები შეიცავენ არა მარტო ჩემს რწმენას და შეხედულებას, არამედ შეხედულებას ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობისა. ჩემი გარდაწყვეტილება წარმომედგინა ჩემი მოქმედების პროგრამა მით მიადვილდება, რომ მუშების წარმომადგენელნი, რომელნიც ნდობით სარგებლობენ დანიშნული არიან პასუხსაგებ თანამდებობებზე და ამაში კი ვხედავ გარანტიას, რომ მასა მხარს დაგვიჭერს. ამისათვის დღეს მე ვლაპარაკობ არა მარტო ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით, არამედ მთელი ხალხის სახელით. კანცლერი ეხება საზავო წინადადებას და განაგრძობს. ბელგიის კითხვა უნდა გადაწყდეს მისი სრულის აღდგენით. მისი ტერიტორია და დამოუკიდებლობა უნდა იქნეს ცნობილი. აგ-

რეთვე უნდა დაისვას კითხვა ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ლიტვა, პოლონეთი, პრიბალტიის მხარეში ეხლავე უნდა იქნას დადგენილი სამოქალაქო თვითმართველობები. ამ მხარეებმა თითონ უნდა გადასწყვიტონ თავიანთი მომავალი მართველობა და რა დამოკიდებულება ექნებათ სხვა მეზობელ სახელმწიფოებთანაც.

10 ოქტომბერი.

ნიუ-იორკი პარასკევს დილით მოხდა ყუმბარების აფეთქება. ქარხნის მახლობელ მიდამოებში მცხოვრებთ შიში აქვთ, რომ ნაპერწკლებმა შენობებს ცეცხლი არ გაუჩინოს. ქარხნის მახლობლათ ისეთი ძლიერი ცეცხლი გაჩაღდა, რომ ცეცხლის მქრობელნი ვერ მიახლოვებულან ჩასაქრობათ. 60 ათასამდე მცხოვრებმა დასტოვეს ბინები და სხვა მხარეს შეაფარეს თავი. ქუჩები სავსეა გადმოხვეწილებით, დასახიჩრებულ დაჭრილნიც ბევრნი არიან.

ამსტერდამი. ლონდონ-დან გაზ. „ანელგმანი“ იტყობინება, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია დროებითი ზავის ჩამოგდებისა.

ვაშინგტონი შვეიცარიის ელჩმა გადასცა ვილსონს გერმანიის ნოტა.

პარიზი. იტალიის პრესაში არაფერია გერმანიის წინადადების შესახებ ნათქვამი. ალბათ ცენზურამ არ გაუშვა.

სტოკჰოლმი. პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ იქ დახვრიტეს ძველი რეჟიმის სამინისტროს თავმჯდომარე ტრეპოვი.

ჟენევა. ცენტრალურ სახელმწიფოების წინადადებას დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ კმაყოფილებით შეხვდენ ნეიტრალურ სახელმწიფოებში. იმედი აქვთ, რომ ვილსონი უარს ვერ იტყვის.

პარიზი. სასტიკმა იერიშმა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოეს ფრანგებმა და ინგლისელებმა, იძულებულ ჰყვეს გერმანელები დაეხიათ. ფრანგებმა იერიშები მიიტანეს ტყე ესტავზე და დაიპყრეს ქ. ნოტრ დამი და მარსი.

სტამბოლი. ყველა ფრონტებზე ყურადსაღები არა მოჰხდარა რა.

ვენა. ალბანიაში ფრანგებმა დაიპყრეს ელბასენი.

ვერდენთან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრო უნგრეთის სახელოვანმა ფელდმარშალ მეტცერისტარის ნაწილებმა.

ბერლინი. კამბრე და სენ-კანტენთან ფრანგების და ამერიკელების ჯარის ნაწილებმა იერიში მოიტანეს. ბოხენთან ჩვენ შევაჩერეთ მტრის მოქმედება. საღამოთი მტერმა განაახლა შემოტევა, რაიც ჩვენ მიერ მოგერებულ იქნა. შამპანში ფრანგებმა და ამერიკელებმა ხელმეორეთ განაახლეს შემოტევა დიდი ძალებით, მათ განიზრახეს ფრონტის გარღვევა სენ ილენთან მტრის ნაწილი ჩვენ წინა ხაზებში შემოიჭრა, რაიც კონტრიერიშით უკუ ვაქციეთ. ჩვენ დავსტოვეთ კამბრე.

ბერლინი. სტატს სეკრეტარ ლასინგმა გადასცა შვეიცარიის რწმუნებულს პასუხი გერმანიის ნოტისა.

საქართველოს პარლამენტი

8 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული)

იას. ლორთქიფანიძე (დამ. ნაც. დემ.) ჩვენი ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ასეთი დაწესებულების დაარსება საჭირო არ არის.

ი. გობეჩია (ს. რ.) მხარს უჭერს კანონ-პროექტს და მოითხოვს ის მიღებულ იქნას.

მომხსენებლები იცავენ თავიანთ აზრს.

პ. ქავთარაძე 1 ლ მუხლიდან უნდა იქნას ამოღებული სიტყვები „შესათანხმებლად და წესრიგში მოსაყვანად“.

მ რუსია თანახმაა ამოიშალოს სიტყვა „შესათანხმებლად“, „წესრიგში მოსაყვანად“ კი დარჩეს.

საბჭომ მიიღო რუსიას შესწორება. მუხლობრივ განხილვის შემდეგ საბჭომ მთელი კანონ პროექტი მიიღო.

კანონპროექტი კანონთა გამოქვეყნების შესახებ.

ი. ბარათაშვილის მოხსენებით საბჭომ მიიღო ეს კანონპროექტი, რომლის ძალით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონები უნდა გადაეცეს მთავრობას, რომელიც დაუყონებლივ აქვეყნებს მას თავის ორგანო „საქართველოს რესპუბლიკაში“. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ იმ შემთხვევების გარდა, როცა თვით კანონშია ნაჩვენები თუ როდის უნდა შევიდეს ის ძალაში. დროებით სპეციალურ დაწესებულების დაარსებამდე მთავრობის ბრძანებების და კანონების კრებულის ოფიციალურ გამოცემას ხელმძღვანელობს საკოდიფიკაციო განყოფილება. საკოდიფიკაციო განყოფილება დაუყონებლივ უგზავნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს კანონების და მთავრობის განკარგულებათა კრებულს.

კანონ პროექტი ათ მილიონიან ფონდიდან გაწეულ ხარჯების დამტკიცების და ამ ფონდის აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი დ თოფურიძე ამბობს, რომ კომისიას ხელთ ქონდა მხოლოდ სია, თუ როგორ განაწილდა ათ მილიონიანი ფონდი უწყებათა შორის.

ვეშაპელი ადგილიდან: გთხოვთ წაგვიკითხოთ ის სია.

თოფურიძე კითხულობს სიას რუსულ ენაზე დაწერილს.

მ. მაჩაბელი ამბობს, რომ ჩვენ მივიღეთ დადგენილება იმის შესახებ, რომ პარლამენტში ყოველგვარი საქმის წარმოება ქართულად ხდებოდეს, აქ რუსულად დაწერილი ოქმი წარმოგვიდგინეს. ამიტომ მე მოვითხოვ, რომ ეს კანონპროექტი გადაიდვას და დაუბრუნდეს უკან კომისიას.

თავმჯდომარე: მე მოგეცით სიტყვა რეგლამენტის შესახებ, თქვენ კი წინადადება შემოგაქვთ, ეს ასე არ შეიძლება.

ქ. კანდელაკი. (ფინანსთა მინისტრის ამხ.) ეს შემუშავებული იყო კომისიაში გასარჩევად და არა პარლამენტში წარსადგენათ.

გ. ვეშაპელი ამ საკითხის გადაჭრა ასე უცბად შეუძლებელია, ამას დიდი მომზადება სჭირია, აუცილებლად საჭიროა ეს კანონ პროექტი კომისიას დაუბრუნდეს.

ს. ჯაფარიძე. ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ კაკონ პროექტის გადადების რადგანაც მთავრობის განკარგულებაში ერთი კაპეიკი არ არის. მოთხოვნილება კი ყოველ წუთშია.

დ. ვაჩნაძე (დამ. ნაც.-დემ.) აღნიშნავს, რომ წამოყენებული ხარჯებიდან ჯარისთვის არაფერი დახარჯულა, ჩვენ ვიცით, რომ 450 ათასი მანეთი დახარჯულია სამხედრო ტყვეებზე, ცხადია ეს სამხედრო საქმეს შეეხება, მაგრამ ჯარის ორგანიზაციასთან არაფერი აქვს საერთო. 2 მილიონი მან. ანარქიის ჩაქრობას მონდომებია, 200 ათასი მანეთი დუშეთის მაზრის და რამდენიმე ასეული ათასი წითელი გვარდიის მობილიზაციას და სხ., მაგრამ თვით ჯარს კი არაფერი. ეს გარემოება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ მთავრობა რეგულიარული ჯარის შექმნაზე არ ზრუნავს. თუ ავიღებთ სხვა სახელმწიფოებს, იქ სამხედრო ბიუჯეტს დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ჩვენში კი ყურადღებასაც არ აქცევენ.

ჩემის აზრით აუცილებლად საჭიროა და მდგომარეობა მოითხოვს ამ 10 მილიონიანი ფონდიდან 5 მილიონი ჯარის საჭიროებისათვის გადაიდვას.

ქ. კანდელაკი (ფინანსთა მინისტრის ამხანაგი). ბ ნ ვაჩნაძის სიტყვიდან ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ ვითომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევდეს ჯარს. ეს მართალი არ არის. ჯარს აქვს საკუთარი კრედიტი და „ასსიგნოვკები“, ასე რომ მას 10 მილიონიანი ფონდი არ ასაზრდოებს. ეს ფონდი კი სასწრაფო საქმეების და საჭიროებების დასაკმაყოფილებლადაა. თუ კი ზოგიერთჯერ ჯარს ფულები აკლია, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ფულის ნიშნები ნაკლებათა გვაქვს.

გ. ვეშაპელი. შეიძლება დღეს მთავრობაში ისეთი განწყობილება არ იყოს, როგორიც ეს ბალკანეთის კრიზისის დროს იყო, როცა ჩვენ იმ სკამებიდან სასოწარკვეთილი სიტყვები გვესმოდა, მაშინ ისინი დაჟინებით მოითხოვდენ ჯარის შექმნას, მის ორგანიზაციულად მოწყობას. ეხლა კი ალბათ მდგომარეობა გამოიცვალა და იმიტომ არის, რომ არაფერს ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ არც ისეთი კარგი მდგომარეობა უნდა იყოს, რომ ჯარზე ზრუნვა არ იყოს საჭირო.

შემდეგ ორატორი ეხება ფულის კრიზისს და აღნიშნავს, რომ მარტო მაშინ კი არ არის საჭირო ჯარის შესახებ ლაპარაკი და ზრუნვა, როცა ბალშევიკების, ანუ ალექსეევის ფრონტებიდან ცუდი დეპეშები მოგვდის, არამედ ეხლა უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ ფრაქციების კრებაზე აშკარათ გვითხრეს, რომ ფული არ არის, ტანისამოსი არა გვაქვს და ეს გვიშლის ხელს ჯარის შექმნაში. ერთად ერთი საშვალება, ეს საბეჭდავი მანქანა არისო. ჩვენ არ ვიცით ეს მანქანა მარტო ჩვენთვის მუშაობს თუ არა და ამიტომ მოვითხოვთ, რომ ამ ტრიბუნიდან, გაგვაგებინოთ, თუ როგორ და რაზე დაიხარჯა და ჯარისთვისაც გადადვით ფული.

გ. გიორგაძე (სამხედრო მინისტრი) ის კანონი, რომელიც მთავრობის მიერ აქ იყო წარმოდგენილი და თქვენ მიიღეთ, აშკარათ აძლევს პასუხს იმ შეკითხვებს, რომელიც აქ დააყენეს. ჩვენ უკვე შეუდექით ჯარის ორგანიზაციის საქმეს, მაგრამ ამ მუშაობაში ჩვენ მრავალი დაბრკოლებები გველობება წინ; ასეთია ფინანსიური კრიზისი, სასურსათო კრიზისი, პირადი შემადგენლობა და ჯარის ფსიქოლოგიური განწყობილება იმ სულიერი განცდის შემდეგ, რომელიც გადაიტანა ჩვენმა ჯარმა ფრონტის დაშლის შემდეგ. თუ გაითვალისწინებთ იმ რღვევითი ელემენტს, რომელიც რუსის ჯარმა გვიანდერძა, ადვილათ წარმოიდგენთ თუ რა ძნელი იყო რეგულიარული ჯარის შედგენა. როგორც ვთქვი ჩვენ მიუხედავათ ამ დაბრკოლებებისა, მაინც შეუდექით ჯარის ორგანიზაციას და რაც შესაძლებელი იყო გავაკეთეთ. მხოლოდ ცხადია, რომ სამ-ოთხ თვეში ყოვლად შეუძლებელია ძლიერი ჯარის შექმნა, ეს ყოველგვარი სახელმწიფოს ძალ-ღონეს აღემატება.

ცხადია სასურსათო კრიზისმა ხელი დიდათ შეგვიშალა და ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ფულის კრიზისიც გვქონდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მთავრობა არ გვაძლევდეს უფლებას, ფულს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში ფულის ნიშნები ცოტაა და ეს დაბრკოლება გვეღობება წინ ისე კი ყოველ დივიზიას აქვს თავისი ასსიგნოვკები და კრედიტიც მთავრობამ ამ დაბრკოლებების წინააღმდეგაც მიიღო ზომები და პირველ რიგში ჯარის საჭიროებას აკმაყოფილებს. ახალი კრედიტის გახსნა 5 მილიონი მანეთის გადადების სახით სრულებით საჭირო არ არის, ჩვენ გვაქვს საკმაო კრედიტები გახსნილი, მხოლოდ ფულის ნიშნების უქონლობა გვიშლის ხელს.

სიმართლეს სრულებით არ შეეფერება ის განცხადება, თითქოს მთავრობა ჯარს შესაფერ ყურადღებას არ აქცევდეს. პირიქით, მე ამ ტრიბუნიდან უნდა განვაცხადო, რომ მთავრობა ჯარის ორგანიზაციას, მის გაძლიერება მოწყობას დიდს მნიშვნელობას აძლევს და შესაფერ ყურადღებასაც აქცევს, მაგრამ 24 საათში არ შეიძლება ჯარის შექმნა და ყველაფრის გაკეთება. ჩვენმა ჯარმა ერთი დიდი საქმე უკვე გააკეთა. მან ჩააქრო ანარქია, დაამარცხა ბალშევიკები. ამას მოყვება მეორე, მესამე ნაბიჯი და ასე. ასეთია ჩვენი შეხედულება. მე მიკვირს რა საჭირო აქ ყოველ დღე გამოსვლა და ლაპარაკი იმაზე, რაც უკვე გადაწყვეტილია და ქმნადობის პროცესშია?

წინადადება შემოდის კამათის მისპობის შესახებ. კამათი შეწყდა და კრება შეუდგა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას.

პირველი მუხლი უკამათოთ იქნა მიღებული. მეორე მუხლში ვაჩნაძეს შეაქვს წინადადება, 5 მილიონი გადაიდვას ჯარის საჭიროებისათვის.

ქ კანდელაკი ბ. ვაჩნაძეს ალბათ კარგათ ესმის თუ რა განსხვავებაა კრედიტის და ნაღდი ფულის შორის. მას (ჯარს) აქვს—კრედიტი, ხოლო ნაღდი ფული არა აქვს. თქვენ რომ 5 მილიონის კრედიტი კიდევ გაუხსნათ, ეს მდგომარეობას სრულებით ვერ შესცვლის. ამით იმ ასიგნოვკებს, რომელიც მათ ბლომათ აქვთ; კიდევ მიემატება ახალი ასიგნოვკები.

რ გაბაშვილი, (დამ. ნაც. დემ.).

გამოსთქვამს გაკვირვებას, რომ თუ შესაძლებელია იშოვონ ფულის ნიშნები იმ ათი მილიონისათვის, რომელიც მთავრობის განკარგულებაში უნდა გადიდოს, რატომ არ იშოვება იგივე ნიშნები ჯარისთვის. აქ სამხედრო მინისტრმა გულწრფელი სურვილი გამოსთქვა ჯარის შედგენის შესახებ, მაგრამ, ბატონებო, ჯარის შედგენისათვის მარტო გულწრფელობა არ კმარა. აქ, სადაც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც სხედან, ყველაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ ჯარის შექმნას ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. და ის მოუწყობელ-მოუწესრიგებელია.

თავმჯდომარე: პარლამენტის წევრმა ბ. გაბაშვილმა აქ სთქვა, რომ პარლამენტის შემადგენლობაში არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნიო. მე უნდა განვაცხადო, რომ აქ არავინ არ არის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ი. წერეთელი. მე არ მინდოდა დღეს კამათში მონაწილეობა მიმეღო, რადგან ბ. ნაციონალ დემოკრატებთან კამათი ჩემთვის სასჯელია. მაგრამ მსჯელობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ საჭიროთ ვთვლი ს. დ. ფრაქციის სახელით რამოდენიმე განმარტებას. აქ ლაპარაკობენ იმის შესახებ, აღვადგინოთ თუ არა ათი მილიონიანი ფონდი. ყველას უნდა ესმოდეს, რომ იმ მთავრობას, რომელსაც ჩვენ ვერ ჩავაბარეთ მოწესრიგებული ბიუჯეტი, უნდა მივსცეთ საშუალება დააკმაყოფილოს სახელმწიფო საჭიროება საგანგებო თანხიდან. თქვენ ილაშქრებთ ამის წინააღმდეგ და ამბობთ, რომ 5 მილიონი ამ ფონდიდან ჯარის საჭიროებისათვის უნდა გადაიდოსო. ამაზე ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ დაამტკიცებდით, რომ დანარჩენი ხუთი მილიონი მთავრობას ეყოფა ყველა საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ. თქვენ ამის დამტკიცებას არც კი ცდილობართ და ისე გაიძახით, რომ მთავრობამ ამ ფონდიდან ჯარისთვის ხუთი მილიონი უნდა გადადოსო. მთავრობამ აკი გითხრათ, რომ 5 მილიონი კი არა, ჯარისთვის 15 მილიონიც დაიხარჯა და შემდეგშიაც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ჯარის ორგანიზაციის საქმე მოაწესრიგოს. სწორედ ჯარის საჭიროებისათვის დღეს მთავრობა საჯაროთ ყიდის ზოგიერთ საქონელს მომარაგების კომიტეტისას. დიახ, საჭიროა ჯარს მოხმარდეს დიდი თანხა, მაგრამ შეუძლებელია ყველა დანარჩენ სახელმწიფო მოთხოვნილებაზე ხელი ავიღოთ. მაშინ ხომ ჯარიც დაიშლება და ქვეყანაც, ჯარის ორგანიზაცია და მოწყობაზე ზრუნავდა ჩვენი მთავრობა და კიდევაც ზრუნავს. განა დაამტკიცეთ თქვენ წინააღმდეგი ათჯერ გამეორებულ სიტყვებით, ვათის რახა რუხით? თქვენ, განსაკუთრებით თქვენ არ შეგიძლიათ [illegible]ზე, ვინც [illegible] იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და სისხლით იცავს თავისუფლებას (ტაში). თუ ვინმეს შეუძლია ჯარის შექმნა, ეს ისევ ისე ამ მთავრობას (მიუთითებს მთავრობის წარმომადგენლებზე) თქვენ კი ათი მილიონი კი არა 100 მილიონიც რომ მოგცეთ ჯარს ვერ შექმნით, თქვენ ვინ განდობთ შვილებს? თქვენს მოწოდებაზე არაკაცი არ გამოვა. (ტაში). აქ ბ. გაბაშვილი ხმამაღლა გაიძახოდა, რომ აქ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლები სხედან და ლაპარაკის მერიდებაო, აქ ლაპარაკობენ აი, ამ სომხის წარმომადგენლებზე, რომლებიც თავის ერის ხალხთან შეთვისებულნი არიან და შესისხორცებული და საქართველოს რესპუბლიკა ხომ ყველა აქ მოსახლე ხალხს ეკუთვნის! არა. ბატონებო, საქართველოსათვის თუ ვინმე არის უცხო, ეს თქვენა ხართ, აი ამ სკამებზე მჯდომი ვაჟბატონები, რომლებსაც ხალხთან არაფერი საერთო არა გაქვთ და მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენთ (მიუთითებს ნაც.-დემოკრატებზე, ხანგრძლივი ტაში). მე ჯერ ამ პარლამენტში არ გამიგონია ისეთი თავდაუჭერელი სიტყვები, როგორიც აქ ვეშაპელმა სთქვა: „მე მთავრობის ამ შემადგენლობასაც კი ველაპარაკები სამხედრო საქმეებზეო“ და სხვა ასეთი მარგალიტები. მთავრობა და უმრავლესობის პარტიის წარმომადგენლები კი გამოდიან და დამშვიდებულად უხსნიან ამ ვაჟბატონებს ამ გაუგებრობას. როდესაც მე ამ სურათს ვხედავდი, მომაგონდა გერმანელ ფილოსოფოს ფიხტეს სიტყვა: ჩვენში ბევრი ცუდი საქმეები სხვათა შორის მიტომ ხდება, რომ რიგიანი ხალხი თავხედს ისე ეპყრობა, როგორც რიგიანებს, თავხედები კი რიგიანებს ისე ეპყრობიან—როგორც თავხედებს. (ხანგრძლივი ტაში).

გ. ვეშაპელი. უპასუხებს ირ. წერეთელს, ღვარძლიანათ ესხმის სოც.-დემოკრატებს და ამბობს: დამფუძნებელ კრების არჩევნებში ჩვენ გავალთ ხალხში „გარკვეული“ პროგრამით და მაშინ დავინახავთ თუ ვისკენ არის ხალხიო.

პარლამენტმა წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიიღო და სხდომა საღამოს 5 ნახევარ საათზე დაიხურა.

აკ. ს—უა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. დ. პ. საოლქო კომიტეტის კრება.

◆ **იუსტიციის მინისტრის წინადადებით,** შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა თფილისისა და ქუთაისის გუბერნიების და აგრეთვე სოხუმის ოლქის კომისრებს ახლად დაარსებული ტრიბუნალების სისრულეში მოყვანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მას მოყვება პროკურორის ზედამხედველობის განკარგულება.

◆ **სამტრედიის ქალაქის გამგეობა** სთხოვს გზათა სამინისტროს საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე შეატყობინოს

მოლაპარაკება

ევგ. გეგეჭკორისა ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან.

(სტენოგრაფიული ანგარიში)

(დასასრული)

სხდომა იხსნება დილის 10 საათი 55 წუთზე.

ალექსეევი. დღევანდელ სხდომას გახსნილად ვაცხადებ და ვსთხოვ ყუბანის მთავრობის წარმომადგენელს, როგორც მცოდნეს შავი ზღვის მხარის, მოხსენება გაგვიკეთოს სოჩისა და გაგრის ოლქებზე.

ვორობიოვი. მე მგონია, რომ სოჩის ოლქზე ლაპარაკი ჩვენ არ მოგვიხდება, ვინაიდან ის დიდი ხნით რუსის საკუთრებათ არის ცნობილი. წინეთ მის მიდამოებში ჩერქეზები სცხოვრებდენ, შემდეგ მათი ერთი ნაწილი გადასახლებულ იქნენ და ნაწილი კი თავისით წავიდა ისტორიაში ეს რაიონები ცნობილია როგორც ვენეციის და გენუეზის ფაქტორიები, მე-XV საუკუნეში აქ იყვენ ოსმალები, ჩერქეზებმა მიიღეს მათი ქვეშევრდომობა, მაგრამ მათგან პირდაპირ დამოკიდებულებაში არ იყვენ. მაშინ იქ არ იყვენ არც რუსები და არც ქართველები. შემდეგ ამ ადგილებში დაიწყეს დასახლება რუსებმა. მდინარე პსოუდე ქართველთა მოსახლეობა არ იყო. არის გვიან მოსულები, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელოა. სოჩის ახლო არის ქართველთა რამოდენიმე სახლები, დანარჩენი ქართველი მოსახლეობა, რომელიც იქ შეგვხდებათ, მედუქნე, მეწვრიმანე, მოიჯარადრეები არიან, მაგრამ მათი რიცხვი ისეთი უმნიშვნელოა, რომ სოჩის ოლქზე ლაპარაკიც არ არის საჭირო.

გაგრის ოლქის შესახებ კი, მე უნდა ვსთქვა, რომ რადაც მიზეზით აქ ლაპარაკიც კი არ იყო და საქართველოს წარმომადგენელნიც ამაზე სდუმდენ. ის დაარსებულ იქნა მხოლოდ 1917 წელს. შეიძლება საქართველოს წარმომადგენელნი არ სთვლიან მას ცალკე ოლქათ. ჩხენკელიც კი, რომელიც აქ ჩამოვიდა, პირველად გაკვირვებით შეხვდა მის არსებობას და მხოლოდ შემდეგ დაიწყო იმისი ამიერ-კავკასიასთან შეერთებაზე მუშაობა. როცა დამფუძნებელი კრების არჩევნების წ. 6 აღწერას ახდენდენ მცხოვრებთა რიცხვი 33000 უდრიდა; მათ შორის 12 ათასი იყო ოსმალეთა ქვეშევრდომნი (ბერძნები, სომხები, ოსმალები), რუსები 8000-ზე მეტი, ესტონები 6 ათასამდე, მოლდაველები 1500-მდე და აბხაზების ნაწილი გაგრის იქეთა მხარეს აბხაზები სცხოვრობენ ქართველი მცხოვრებნი გაგრის ოლქში ძლიერ ცოტანი არიან, 1000 კაცამდე. გაგრის გაჩენისა და აშენების შემდეგ უკანასკნელი კავშირიც კი შესწყდა ამიერ-კავკასიასთან. ამ ოლქის ტყის გამგეობა ქუთაისიდან ყუბანში გადმოვიდა.

1917 წლის 15 ივნისის ჩხენკელის ჩამოსვლა აიხსნება იმ ზომებით, რომელიც მიღებული იყო უკანასკნელ დროს, რომ ის საქართველოს ოლქათ გაეხადათ. ჩხენკელს პირველად გაუკვირდა, რა საჭირო იყო ასეთი პატარა ოლქის შექმნაო, მაგრამ შემდეგ შეკრებილ იქნა მცხოვრებთა კრებები, სადაც ის აფართოებდა ამიერ კავკასიის შეერთების აზრს. როცა კრებაზე მან ეს ვერ შესძლო, მაშინ გაგრის ოლქს ხელოვნურად შეუერთეს სამი სოფელი, რომლებსაც დაუწყეს ხელმოწერილების ჩამორთმევა, რომ მათ სურთ ამიერ კავკასიის შეერთება ამ დროს კომისრად დაინიშნა ქართველი ბოჭორიშვილი, მოვიდა კომისარი მგელაძეც და მათ გამოაცხადეს ეს ოლქი ამიერ კავკასიაზე შეერთებულათ და ამ დროიდან ოლქი ირიცხება შავი ზღვის გუბერნიიდან ჩამოშორებულათ. მე კი მგონია, რომ არც ეტნოგრაფიული და არც ისტორიული საბუთი ამისათვის არ არსებობს. გაგრის ოლქის უკან არის აფხაზეთი, რომლის შექმნის ნებას ჩვენ ვერავის ვერ მივცემთ. საქართველომ თავისი საზღვრები უნდა დაიწყოს აფხაზეთის იქეთ, რომელმაც თვითგამორკვევა მარტო იმაზე კი არ უნდა ააშენოს, რომ იქ სცხოვრობს რამოდენიმე ასეული ქართველი.

გეგეჭკორი. მე მგონია, რომ ვორობიოვის დღევანდელი მოხსენება, უფრო ვრცლათ, განმეორებაა გუშინდელის და მე ვამჩნევ ზოგიერთ საკვირველებას მის ლაპარაკში. ჩვენი მსჯელობის ობიექტათ ის თვლის არა სოჩის ოლქს, რომელზედაც ჩვენ გვინდა ლაპარაკი, არამედ გაგრისასაც და მიდის უფრო შორს და თითქოს აფხაზეთსაც იცავს საქართველოსაგან. გარწმუნებთ, რომ აფხაზეთთან ჩვენ გვქონდა მოლაპარაკება და მოვილაპარაკეთ კიდეც ზოგიერთ განსაზღვრულ შედეგამდე. და თუ ჩვენ ხელ ახლათ დავსვამთ ამ კითხვას განსახილველათ აქ მე მგონია ჩვენ და ვერავითარი კონკრეტიულ შედეგამდე ვერ მივალთ. მე უნდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ვორობიოვი შეცდა, როცა ლაპარაკობდა, რომ შავი ზღვის გუბერნია არ შედიოდა ამიერ-კავკასიაშიო. ნება მომეცით მივითითო, რომ ეს ზომა გატარებული იყო არა რომელიმე „სოვდეპის“ მიერ, რომლის ძალას ჩვენ არ ვსცნობთ, არამედ დროებითი მთავრობის განკარგულებით. უნდა აღვნიშნო, რომ სოჩის ოლქში ქართველები შეადგენენ მთელ მცხოვრებთა 22 პროცენტს და ჩვენ ვიცით ისეთი დიდი სოფლებიც როგორიც პლასტუნის, სადაც 2000 ქართველები—მეგრელები სცხოვრობენ, სოფელ ხოსტაში ქართველებია დასახლებული და სხვა. საერთოდ მგონია, რომ ამ საგანზე მსჯელობა ჩვენ უნდა შევწყვიტოთ. ვინაიდან ამ თათბირისათვის მას არა აქვს კონკრეტიული მნიშვნელობა. გუშინ მე სულ სხვანაირად დავსვი კითხვა. მე განვაცხადე, რომ სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვიჭირავს და მისი საბოლოო ბედზე ჩვენ ვილაპარაკებთ სხვა, უფრო კომპეტენტიურ კრებაზე, ვინაიდან ამ კრებაზე დაუშვებელია ხალხის ბედი გადავსწყვიტოთ, ამის რწმუნება და არც უფლება ჩვენ არა გვაქვს. ურთიერთშორის დამოკიდებულება, რომელიც აქ დადებული უნდა იქნეს ეს დროებითი იქნება, ვინაიდან თვით მოხალისეთა ჯარის ორგანიზაცია დროებითია. სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვიჭირავს და თუ მოხალისეთა ჯარს, როგორც ამაზე გუშინ განაცხადეთ თქვენ, ომის უფლებით უჭირავს სტავროპოლის გუბერნია და ყუბანი, მოხალისეთა ჯარი, რომელიც ჯერ კერძო ორგანიზაციაა და არა საერთო სახელმწიფოებრივი.

ალექსეევი. მაგრამ ის იქნება საერთო—სახელმწიფოებრივი.

გეგეჭკორი. როცა ის გახდება სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათ, ჩვენც დავიწყებთ მასთან ბევრ კითხვებზე მოლაპარაკებას, რომლის გარჩევის უფლება ამ კრებას არა აქვს და ამიტომ გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარე, ჩვენი თათბირის თემაზე დაგვაბრუნოთ.

შულგინი. გუშინ თავმჯდომარემ განგიცხადათ, რომ ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით საქართველოს დამოუკიდებლობას და ასეთსავე დამოკიდებულებას გთხოვდით თქვენც—და დღეს იმის გარჩევა, მოხალისეთა ჯარი კერძო ორგანიზაციაა თუ არა, გთხოვდით ამის გადაწყვეტა ჩვენთვის, რუსებისათვის მოგენდოთ. რასაკვირველია, ამ თათბირზე კიევის ბედზე მსჯელობა არ მოგვიხდება, მაგრამ როცა საქმე ეხება იმ ოლქებს, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი მხარის მიდამოებთან, აქ ცალმხრივი მსჯელობა დაუშვებელია. ჩვენ უკვე შეკავშირებული ვართ და ამიტომ ლაპარაკიც შეგვიძლია—თქვენ კი ჯერ კიდევ არა ხართ შეკავშირებული ერთ მთელში და ამიტომ სდუმხართ. მაგრამ ის ნაჭერი, რომელიც შეკავშირებულია უკვე, მას თავის ხელმძღვანელობის სახით შეუძლია იქონიოს რაიმე კომპეტენტური აზრი და გადაწყვეტილება და მე მგონია—ვინაიდან ჩვენ შეკავშირებული ვართ სამხრეთით ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ კომპეტენტიური ჩვენს გადაწყვეტილებაში აფხაზეთის შესახებ. ბრესტის ხელშეკრულების მე-13 მუხლის ძალით საქართველო დამოუკიდებლათ იქნა აღიარებული და ეს აფხაზეთს რომ მოენდომებია, მე ვფიქრობ, რომ იმავე საფუძვლით მას შეეძლო მოეპოვებია დამოუკიდებლობა. გთხოვთ გვიპასუხოთ, ბრესტის ხელშეკრულების დროს იყო თუ არა თქმული რაიმე საზღვრებზე და საქართველოს საზღვრები იყო თუ არა აღნიშნული.

გეგეჭკორი არა, ნამდვილ საზღვრებზე არ იყო ლაპარაკი. განსაკუთრებული დეკრეტით გამოცხადებული იყო, რომ რომ საზღვრები დროებით მკვიდრდება.

სტეფანოვი. დროებითი საზღვრები იყო დანიშნული?

გეგეჭკორი კი. საქართველოს რესპუბლიკის აქტით.

დენიკინი. მე ვეთანხმები საქართველოს წარმომადგენელს, რომ თეორეტიული ლაპარაკი ვერავითარ გადაწყვეტილებამდე ვერ მიგვიყვანს. უნდა გადავწყვიტოთ საზღვრების კითხვა. თუ საქართველოს წარმომადგენელნი გადაჭრით მოითხოვენ სოჭის ოლქს, მაშინ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ მოლაპარაკება და უნდა შეუდგეთ იმ დიდ სამუშაოს, რომელიც ჩვენ გვიცდის.

ფილიმონოვი სთვლიდით თუ არა თქვენ ქართველებთა რიცხვში, რომელნიც დასახლებულნი არიან სოჭის ოლქში, დროებით იქ მყოფ მუშებსაც—მე კარგათ ვიცნობ ამ ოლქს.

გეგეჭკორი. მე მხედველობაში არ მქონდა ჩამოსული მუშები. იქ არიან მკვიდრი ქართველი მცხოვრებნი და საუკეთესო კოლონიზატორები მეგრელები არიან.

ფილიმონოვი. მე ვიცავდი ამ რაიონს და მის მდგომარეობასთან გაცნობილიც ვარ. შემიძლია დავამტკიცო, რომ მცხოვრებთა შორის არ იყვენ ქართველები. მცხოვრებნი ჩამოსულები არიან და არა მკვიდრნი და მთელ რაიონში 1000 კაციც არ იყო.

სტეფანოვი. მე ვიმხრობ გენ. დენიკინის აზრს. გეგეჭკორის სიტყვიდან სჩანს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აქ საზღვრებზე ვილაპარაკოთ, ვინაიდან ჩვენ გვსთვლიან კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლად, და ამ შემთხვევაში თავის თავად იხსნება ყველა დანარჩენი მუშაობაც.

ალექსეევი. დიახ ეს კითხვა უნდა დაუყოვნებლივ გადაწყდეს, რადგანაც არ შეიძლება კერძო ორგანიზაციათ ჩაითვალოს მოხალისეთა ჯარი.

გეგეჭკორი. თქვენ შეგიძლიანთ, როგორც გსურთ ისე მიიღოთ, რაც მე ვსთქვი, მაგრამ მე ვსთქვი ასე: როდესაც ვორობიოვმა დაიწყო ლაპარაკი აფხაზეთის ხალხზე, მე უპასუხე მას, რომ ურთიერთ დამოკიდებულება აფხაზეთისა, საქართველოსი და ყუბანის უნდა გადაწყდეს არა აქ, არამედ სხვა ადგილას. რაც შეეხება დროებით საზღვრების დაწესებას, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამისათვის შევიკრიბენით აქ და ეს კითხვა ჩვენ სავსებით უნდა გავაშუქოთ.

ალექსეევი. სიტყვა დროებითი საზღვრების ფრიად გამოურკვეველია. ჩვენ არ შეგვიძლიან ამაზე დავსთანხმდეთ. თუ თქვენ გაქვთ ხელშეკრულება აფხაზეთთან, ეს თქვენი კერძო საქმეა. სოჭის და გაგრის ოლქებთან, რასაკვირველია, თქვენ არავითარი ხელშეკრულება არ გაქვთ და თქვენ სარგებლობთ იმით, რადგანაც არავინაა იქ, ვინც დაიცავდეს რუსეთის კუთვნილებას.

თავრობის გადაწყვეტილება ფოთ სამტრედიის შუა რიონზე ნაოსნობის მოწყობის შესახებ, რომ გამგეობას საშუალება მიეცეს მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში.

— ამის შესახებ გზათა სამინისტრომ აცნობა სამტრედიის ქალაქის გამგეობას, რომ გზათა სამინისტროსთან დანიშნულია კომისია სამტრედია-ფოთამდე რიონზე ნაოსნობის მოწყობის შესახებ. განზრახულია შესდგეს სააქციონერო საზოგადოება, რომელშიაც უახლოეს მონაწილეობას მიიღებს მთავრობა და აგრეთვე ადგილობრივი მრეწველები. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება თქვენის მხრივ სასურველი თუ იქნება, გვაცნობეთ და წარმომადგენლის დანიშვნის პირობებს თავის დროზედ შეგატყობინებთ.

◆ **სტამბა „ქართლის"** მუშებმა, სადაც იბეჭდება გაზეთი „გრუზია", საჩივარი შეიტანეს, რომ მათ ანტი-ჰიგიენურ პირობებში უხდებათ მუშაობა. შრომის კომისარმა დაათვალიერა სტამბა და მუშების საჩივარი კანონიერად სცნო. ამიტომ შრომის კომისარმა წინადადება მისცა სტამბის გამგეს—ერთი კვირის განმავლობაში სხვა შენობაში გადაიტანონ სტამბა. შრომის კომისარი საჭიროთ სცნობს, ყურადღება ექნეს მიქცეული ვისგანაც ჯერ არს, სტამბის ეზოს უსუფთაობას.

◆ **კერძო გიმნაზიები თფილისში.** თფილისში ამ დღეებში 26 კერძო გიმნაზიებია, რომელიც სრულიად მოუწყობელია.

◆ **გილზის ფაბრიკის „პობედას",** ელისაბედის ქუჩაზე, დათვალიერების დროს შრომის კომისარმა დაინახა 19 ნოემბრის 1917 წლის დეკრეტის მეცხრე მუხლის დარღვევა და ამის ოქმი შეადგინა.

◆ **ქართველ სამხედრო ექიმთა ჯგუფი** სთხოვს ყველა თფილისში მყოფ სამხედრო ექიმებს მობრძანდენ კრებაზე დღეს 11 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე (ს.-ფედერალისტთა პარტიული კლუბი, ძველი სემინარიის შენობა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1). განსახილველია სამხედრო ექიმთა საზოგადო კრების მოწვევის და ამ კრების პროგრამის შემუშავების საკითხი. სათანადო ნებართვა უკვე მიღებულია.

◆ **სასწავლებელში.** თფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიასთან 15 ოქტომბრიდან იხსნება საანბანო განყოფილება. თხოვნების მიღება გრძელდება.

◆ **სასწავლებლებში.** 10 ოქტომბრიდან იწყება სწავლა საღამოს უფასო კურსებზე, პუშკინის შკოლის შენობაში (ხარფუხში) სასწავლებელთან "გახსნილია უფასო საბავშვო ბაღი. შკოლაში მიიღებენ 10 წლიდან, ხოლო საბავშვო ბაღში 6 წლ. 10 წლამდე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 4 ს. 8 საათამდე შკოლის შენობაში.

◆ **ლექცია** დღეს, საღამოს 7 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში ნაძალადევის თეატრში დანიშნულია რ. არსენიძის ლექცია: „სოციალიზმის ისტორია".

◆ **დატუსაღება.** მილიციის უფროსის განკარგულებით დატუსაღებულ იქმნა 3 თვით ალ. მარტიროსიანცი სიმთვრალისათვის და მილიციის წინაამდეგ მოქმედებისათვის.

◆ **თფილისში მიღებულ** ცნობებით გენ. ალექსეევი გარდაცვლილა.

◆ **გაძარცვა.** 10 ოქტომბერს სასტუმრო „ვასტოკში" შევიდენ 7 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი და ამიროვს და იზმაილოვს წაართვეს 10 ათასი მანეთის ფული და საქონელი.

◆ **მკვლელობა.** 8 ოქტომბერს მეხუთე როტის ჯარის კაცმა დ. ჩხენკელმა უცაბედათ მოკლა ვინტოვკით აკაკი მიქაბერიძე.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება სამტრედიაში—ახობაძეს და საქმიას-სერზე—რამიშვილს. კანტ. „განათლება".

ბ-ნ ა. ი. ჯაფარიძეს.

თქვენი დეპეშა 18-ში გამოგზავნილი ქუთაისიდან სამი მისამართით: „ერთობას", „ალიონს" და პ. ქავთარაძეს. იმ დღესვე იყო მიღებული თფილისში და გადაცემული „ერთობის" რედაქციაში, მიიღო ლორდელმა, რომელმაც დეპეშის კვიტანციებზე მოაწერა ხელი. შეცდომით დეპეშების დამტარებელს სამივე დეპეშა რედაქციაში დაეტოვებინა, რის გამო თავის დროზე დეპეშა არ იქნა გადაცემული დანარჩენ ადრესებისთვის.

რედაქცია.

კრებები.

11 ოქტომბერს საღ. 7 საათზე შესდგება მორიგი კრება პროფესიანალური კავშირების საბჭოს.

— დღეს, 11 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიელებისა. ვინაიდგან გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები, შტაბი სთხოვს ყველა გვარდიელებს დაესწრონ.

— დღეს, 11 ოქტომბერს სახელოსნო სკოლის ადგილას (ეგზარხის ქუჩაზე) დღის 2 საათზე დანიშნულია წევრთა კრება ქალთა ორგანიზაციის 6 სე რაიონისა. რადგანაც გასარჩევია საჭირო კითხვები, გთხოვთ სუყველა ამხანაგებს დაესწრონ.

პროვინციის ქრონიკა.

გორის რევოლიუციონური ტრიბუნალი ლიკვიდაციას ახდენს საქმეებისას. საქმეები ყველა გადაეცემა სათანადო სასამართლოს. ტრიბუნალის წევრები ექიმი კობერიძე, მიხეილ კინწურაშვილი, დავით ხუციშვილი და პეტრე მღებროვი თავის ამომრჩეველ ორგანიზაციებს მოხსენებას გაუკეთებენ.

ცხინვალის ფრონტზე, როგორც გორის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ იოსებ გაბუნიამ გადმოგვცა, მეტათ სანუგეშო მდგომარეობაა. ხალხი თანდათან ურიგდება ადმინისტრაციას და უბრუნდება მშობლიურ კერას და მუშაობას. იარაღის აყრაც კარგად მიდის. ორგანიზაციები ეწყობა. 13 ოქტომბერს დანიშნულია საერობო არჩევნები ცხინვალისა და ჯავის რაიონებში.

დეპეშები

ქუთაისი ამხანაგ აკაკი პლებეიშვილის მოულოდნელმა სიკვდილმა ყველას თავზარი დაგვცა. მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენს შორის.

ს.-დ. კომიტეტი.

ქუთაისი. პარტიულ ბრძოლაში აღზრდილი, ამხანაგ აკაკის დაკარგვამ თავზარი დაგვცა.

კ. ჰუმბურიძე, თ. ახათიანი, კ. ჯანელიძე, ვ. ხხირტლაძე, ი. გუგუნავა, ა. ტუხკია, ტ. გვარამია, გ. ფალავა. შ. დუგლაძე.

წერილები.

კიდევ სიკვდილი!

მუშათა კლასს დღე და დღე აკლდება თავდადებული მებრძოლნი. კიდევ დავკარგეთ პროლეტარიატის ინტერესების საუკეთესო დამცველი ამხ. აკაკი პლებეიშვილი. ამ დანაკარგის გამო ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ამხანაგ-მეგობრების გლოვას.

ა. თოდრია, მ. ფერაძე, ვ. ბოხოხაძე

აკაკი გაბრიჩიძის მოულოდნელმა მისმა სიკვდილმა თავზარი დასცა რკ. გზ სადგურის ორგანიზაციას. ჩვენი მწუხარება ადვილი, გასაგებია იმ ამხანაგებისთვის, ვინც იცნობდა აკაკის და ვისაც წაუკითხავს მისი მუშათა წერილები. აკაკის დამახასიათებელი თვისებანი იყო გულწრფელობა, პატიოსნება, საზოგადო საქმეში შეუდრეკლობა. აკაკი მოგვტაცა ვერაგმა სიკვდილმა, ამან პირნათლათ შეასრულა თავისი წმინდა მოვალეობა თავისუფლების წინაშე. დიე იცოდენ ყველამ, რომ ბევრი ჰყავს დამცველები იმ საერთო საქმეს, რომელსაც შენ მიუტანე სამსხვერპლოზე ნორჩი სიცოცხლე. მშვიდობით, ძმაო აკაკი! ჩვენ კი შენი ამხანაგები არასოდეს არ დაივიწყებს შენს წმინდა ხსოვნას. ფიცს ვსდებთ შენს გაციებულ ცხედრის წინაშე, რომ ჩვენც შენსავით ერთგულათ შევასრულებთ ჩვენ მოვალეობას.

ს. ჩიგოგიძე.

მოვალეობის მსხვერპლნი

ძმ. გრიგორი და თედორე ფასახძე ჯაშები.

მათ მოხუცებულ მშობლებს მეტი ნუგეში აღარავინ დარჩენიათ...

გრიგორი იყო თფილისის სტამბების ერთი მუშათაგანი. 1905 წელში, როდესაც პირველი რევოლიუციის ალი მოედო მთელ რუსეთს, მის გამოძახილს თფილისის ყველა დარგის მუშებიც არ ჩამორჩა, მაგრამ 1905 წელში თვითმპყრობელობის ჯალათებმა შესძლეს ალიხანოვ-ავარსკების დახმარებით მუშათა მოძრაობის ჩაქრობა ცეცხლითა და მახვილით... ამ ჯალათებთან ბრძოლაში მაშინ გრიგორი ჯაში სხვა მუშებთან ერთად გმირულათ დაეცა უთანასწორო ბრძოლაში ნაძალადევში ყაზახებთან შეტაკების დროს. დღეს ის განისვენებს ნაძალადევის ცხრა ძმებთან ერთად ცივ სამარეში, რომლების ცხედარიც და ძმათა სასაფლაო ჩვენთვის, მუშებისთვის, წმინდათა წმინდას შეადგენს.

გრიგორის ძმა თედორე ჯაში მაშინ ჯერ ბავშვი იყო, მაგრამ ძმის გმირულათ დაღუპვამ გავლენა იქონია მაზე და მისი გული შურის ძიებით აივსო. ამ რევოლიუციის დროს თედორე სპარსეთის ფრონტზე იმყოფებოდა და სხვებთან ერთად ისიც ბრუნდება თავის სამშობლოში. როდესაც საქართველოს განკითხვის დღე დაუდგა და ოსმალები ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას განადგურებას უქადდენ, თედორე ჯაში, სხვა მის ტოლ ამხანაგებთან ერთად მიეშურება ფრონტისაკენ რევოლიუციის დასაცავათ და იმ თავისუფლების შესანარჩუნებლათ, რომელსაც მსხვერპლათ შეეწირა მისი უფროსი ძმა გრიგორი 1905 წელში.

10 აპრილს 1918 წელს, სოფელ ვაშნაართან ბრძოლის დროს თედორე ფასას ძე ჯაში უგზო უკვლოთ დაიკარგა ოსმალების ასკერებთან ბრძოლაში და საერთო ძმათა საფლავში განისვენებს დღეს, დავსტირი ძვირფასო ძმებო, თქვენს უდროვოთ დაკარგვას, მაგრამ უფრო სანუგეშო თქვენი მოხუცი მშობლებია, რომელთაც ცრემლი ვერ შეუშვრიათ. ძვირფასო ძმებო! თქვენი გმირობა იქნება ნუგეში თქვენი მოხუცი მშობლებისათვის.

თქვენი ძმა უ. ჯაში.

ანდრო (ივანე) ვასილის ძე კაჭარავა.

კიდევ მოაკლდა ერთი თავდადებული მებრძოლი, ერთი პატიოსანი წევრი ქართულ საგანგებო ბათალიონის რაზმს. ეს არის ანდრო (იგივე ივანე) კაჭარავა. 19—20 წლის იქნებოდა. როდესაც ჯარში გაიწვიეს, სადაც პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას. რამოდენიმე ხნის შემდეგ სახლში დაბრუნდა, მაგრამ ბევრ ხანს არ დარჩენილა სახლში, რადგანაც ჩვენში იმ დროს ანარქიამ და ოსმალეთთან ომმა წამოჰყო თავი, ის მიდის ფრონტისაკენ.

ქართულ საგანგებო ბათალიონში მხურვალე მონაწილეობას იღებდა სოხუმის მახლობლათ სოფ. ხოსტასთან ბრძოლაში. ის აქ მძიმეთ დაიჭრა და საავათმყოფოში მოათავსეს. ანდრომ ვერ გაუძლო ჭრილობებს და განუტევა სული. ის ჩამოასვენეს მის სოფელში (დაბა აბაშაში) და მიაბარეს ცივ სამარეს.

ამხანაგო ანდრო! შენც იმ გმირებთა რიცხვში ხარ, რომელიც წილათ ხვდა გამოელო აბაშის რაიონს სოფ. ხოსტასთან ბრძოლაში, შენ არ დაგივიწყებს ამხანაგები.

ჰ. სახოჩიელი.

მეთამბაქოეთა საყურადღებოთ

თანახმად თქვენი შუამდგომლობის საქართველოს მთავრობამ, ჩვენ მეთამბაქოეთა ბიუროს ნება დაგვრთო გავიტანოთ საზღვარ გარეთ 200,000 ფუთი თამბაქო, იმ პირობით, რომ პირველად შევკითხოდით გერმანელებს იყიდნენ თუ არა. ჩვენ ბიურომ უკვე მივმართეთ გერმანელებს წინადადებით, მაგრამ ისინი კიდევ დროს თხოულობენ. ჩვენ-კი მთავრობის დადგენილების თანახმად სრული უფლება გვეძლევა გავიტანოთ საზღვარ გარეთ ან აქ შიგ საქართველოში, ვისაც გვინდა მას მივყიდოთ.

ამიტომ თანახმად დადგენილებისა მივმართავთ: სოხუმის, ზუგდიდის, გურიის, ლაგოდეხის და ქიზიყის მეთამბაქოეთ, რომ გამოგზავნონ სამ-სამი წარმომადგენელი თვითეულმა კუთხემ ყრილობაზე ქ. თფილისში 23 ოქტომბერს ახალი სტილით.

დღის წესრიგში იქნება შემდეგი მორიგი კითხვები: 1) მოხსენება ბიუროს, 2) ფასების ხელახლა გადაშინჯვა, 3) შინაურ ბაზარზედ გაიყიდოს თამბაქო თუ გავიტანოთ საზღვარ გარედ, 4) მყიდველებზედ პასუხის გაცემა, 5) ბიუროს მომავალი. გეგმა და სხვა მიმდინარე კითხვები. ამ ყრილობაზედ შეუძლიან წარმოადგინოს ყოველმა პირმა, ვისაც თამბაქოს ყიდვა სურს თავის მოთხოვნილება: რამდენი თამბაქო უნდა, რომელი კუთხის. ჩვენი ბიუროს სურვილია რამდენათ ძლიერი მყიდველი გამოჩნდება მეტ ყურადღებას დაიმსახურებს; ამასთან ვაცხადებთ მეთამბაქოეთა ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ კრებას უსათუოდ დაესწრონ, წინაამდეგ შემთხვევაში ბიურო ისე იმოქმედებს, როგორც თვითონ დაინახავს საჭიროთ.

საქართველოს მეთამბაქოეთა ბიურო.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს

ამხანაგებო! ახ. მარ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ამ მოკლე ხანში განაახლოს ჟურნალ „ახალი კვალის" გამოცემა.

თქვენ იცით, თუ როგორი პირობებია დღეს. ქაღალდის ფასმა აპრილის შემდეგ ერთი ხუთად იმატა. ესევე ითქმის ჟურნალის აწყობისა და ბეჭვდის შესახებ. ამასთანავე ქაღალდის შოვნა საზღაპრო ფასებშიც კი (200 მან. ოზმა) ძლიერ ძნელია.

ყველა ამ მიზეზთა გამო ჟურნალის გამოცემა მოითხოვს შარშანდელთან შედარებით ხუთჯერ მეტ შრომასა და თანხას.

საჭირო თანხა ცენტრალურ კომიტეტს არ მოეპოვება შემდეგი მიზეზების გამო:

1) პროვინციელ ორგანიზაციებიდან კუთვნილი პროცენტები (25 პროც.), რომელიც შეადგენს ცენტრალური კომიტეტის მთავარ საარსებო წყაროს, მას არ მიუღია;

2) ერთდროული წინასწარი თანხა ჟურნალისთვის (3000 მ.), რომელიც კონფერენციის დადგენილებით უნდა შემდგარიყო ერთ თვეში (ე. ი. თებერვლის ბოლომდე), დღემდე არ შემდგარა;

3) რედაქციას არ მიუღია პროვინციებში უკვე გაგზავნილ ნომრების ღირებულების ნახევარიც-კი.

აი ამ მიზეზებმა გამოიწვიეს ცენტრალური კომიტეტის კასის დაცარიელება. ცენტრალური კომიტეტი ამ მოვლენის წინაამდეგ უკვე იღებს ზომებს.

ის აგროვებს შემოწირულებას, ამ დღეებში გამართავს ლექციას, ან საღამოს ჟურნალის ფონდის გასაძლიერებლათ და სხვ. პროვინციელ ორგანიზაციების მოვალეობაა ასეთ დროს გვერდში ამოუდგენ თავის ცენტ. კომიტეტს.

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ შემდეგი თხოვნით:

1) დაუყონებლივ გადმოგზავნოთ: ა) ც. კ. კუთვნილი პროცენტები, ბ) ჟურნალის ერთდროული (ძირითადი) თანხის ხვედრი ფული, გ) უკვე გადმოგზავნილ ჟურნალების დარჩენილი ფული. 2) მოაწყოთ ჟურნალის ფონდის გასაძლიერებლათ შემოწირულებათა შეგროვება, ლექცია-საღამოების გამართვა და სხვ.; 3) გვაცნობოთ, რამდენი ცალი ჟურნალის გასაღება შეგიძლიათ (თუ ჟურ. 1 ცალი ეღირება 1 მან.), რა მისამართით გამოვგზავნოთ და თქენი ბიუროს ადრესი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი ჟურნალ „ახალი კვალის" რედაქციას (გოლოვინის პროსპექტი № 12).

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტი.

რკინის გზაზე

ის აუარებელი ლტოლვილები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში რკინის გზას მოაწყდენ სხვადასხვა გუბერნიებიდან, კალმით აუწერელ გაჭირვებას განიცდიან. უსურსათობა და გამეფებული ავადმყოფობა ენით გამოუთქმელ მდგომარეობაში აყენებთ მათ. ადგილობრივი მუშა და მოქალაქენი მეტისმეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ლტოლვილებს ვერავითარ დახმარებას ვერ უწევენ. საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობას. ძლიერ გავრცელებულია ლტოლვილთა შორის სახადი. საჭიროა დროზე ზომების მიღება, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება. ამ რამოდენიმე დღის წინათ ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს თფ. საქ. სადგ. სასურსათო საწყობი საიდანაც გაიტაცეს მანუფაქტურა, შაქარი, ჩაი და სხვ. მიღებულია ყოველივე ზომები. საგანგებო გამოძიებას აწარმოებს სადგურის საგამომძიებლო კომისია, დაახლოვებით წაღებულის ღირებულება შეადგენს 3000 მან. გასულ თვის ჯამაგირი სადგურის მუშებს ჯერაც არ მიუღია.

ს. ქრისტინეშვილი.

მუშათა შორის

მეეზოვეების ცხოვრებიდან. არც ერთი დარგი მუშებისა არ არის ისეთ აუტანელ პირობებში, როგორშიაც იმყოფება მეეზოვეები. მათი ასეთი აუტანელ გაჭირვებაში ცხოვრება უნდა მიეწეროს მათ შეუგნებლობას და შეუკავშირებლობას, თუ არა განა შეუძლია მუშას ამ სიძვირის ხანაში თვეში 30 მ. მინიმუმი და 250 მან. მაქსიმუმი იმუშაოს? დაგაოს ხუთი—ექვსი სახლის გალავანი და მეტიც. არის ისეთი მეეზოვე, რომელიც ოცდა ორ სახლს უვლის, მაგრამ თვეში კი ღებულობს 132 მან. თავის ხარჯით, საერთოდ ძალიან ძვირათ აძლევენ დამქირავებლები ხარჯს. ასში ერთს თუ შეხვდებით, რომ დამქირავებლების ხარჯზე იყოს. ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ მეეზოვეები აახმაურა და დაიბადათ სურვილი ერთი კავშირის დაარსებისა 11 სექტემბერს დელეგატების ყრილობამ გადასწყვიტა, რომ შეერთებოდენ ოჯახებში მომუშავეთა კავშირს და დაეარსებიათ იქ „მეეზოვეების სექცია" საერთო ყრილობამ მიიღო ეს დადგენილება, რომელიც შესდგებოდა 2000 მეეზოვ. და 15 სექტებრიდან ეგრეთ წოდებული „კავშირი დვორნიკებისა" ვანკის სობოროს გალავანში არსებული გაუქმებულათ გამოაცხადეს. მერე შეიმუშავეს საერთო მოთხოვნილება და წარუდგინეს სახლების პატრონთა კავშირს 17 სექტემბერს. ვადა პასუხისათვის მისცეს 1 ოქტობრამდი და თუ 1 ოქტომბ. მიიღებდენ პასუხს საწინაამდეგოს, პირველიდან უნდა გამოეცხადებიათ გაფიცვა. 1 გავიდა, პასუხი არ მიუღიათ, დელეგატებმა გადასწყვიტეს მოეწვიათ საერთო კრება 5 ოქტ. და 6-ში გამოეცხადებიათ საერთო გაფიცვა, მაგრამ საქმეში გუბერნიის შრომის კომისარი ჩაერია და გაფიცვაც მისი შუამდგომლობით ორი კვირით გადაიდო, ვნახოთ რას იტყვიან სახლის პატრონები მშიერი მეეზოვეებისათვის [illegible]. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ პასუხი მეეზოვეებმა მათი [illegible] შესახებ ასეთი მიიღეს: ვიღებთ მხედველობაში, რომ მეეზოვეების მოთხოვნილებები კანონიერია და გვწამს, რომ იმ ჯამაგირით, რასაც ისინი ღებულობენ ცხოვრება შეუძლებელია, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია მომატება იმიტომ, რომ კანონის ძალით მოკლებულები ვართ უფლებას, რომ მდგურებს გაუდიდოთ გადასახადები და ის გადასახადები, რასაც ისინი იძლევიან, სრულებით არ ფარავს ხარჯებსო.—ჩვენ თანახმანი ვართ მეეზოვებს გაუდიდოთ ჯამაგირები, თუ ეს მოხდება ოთახების დამქირავებლების ხარჯზეო. ამ კითხვის შესახებ ხუთშაბათს 9 ოქტ. დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლის, სახლების პატრონთა, კავშირის მეეზოვეების კავშირის და მილიციის უფროსის, შრომის კომისართან, სადაც უნდა გამოიმუშაონ, თუ როგორ შეიძლება მეეზოვეების დაკმაყოფილება და როგორ უნდა განისაზღვროს მათი სამუშაო დღე.

ჭ. ტოფაძე.

ს.-დემ. პარტიაში

ქ. ყვირილა. 29 სექტემბერს შესდგა ყვირილა შორაპნის რაიონის სოც.-დემოკრატიული საერთო კრება, რომელსაც უნდა განეხილა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მომენტზე, 2) ერობის არჩევნები შორაპნის მაზრაში, 3) პარტიული მუშაობა, 4) მიწის რეფორმა, 5) კომიტეტის რეორგანიზაცია, 6) სარევიზიო კომისიის მოხსენება და მიმდინარე საკითხები.

კრება გაიხსნა 12 საათზე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პავლე მეტრეველი, მდივნათ ამხ. გ. ნებიერიძე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა არსენ მამულაიშვილის ხსოვნას. მოხსენებას მომენტზე აკეთებს ამხ. პ. გოგიაშვილი.

ამის შესახებ პარტიულმა კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ყვირილა-შორაპნის რაიონის სოც.-დემოკრატიულმა ყრილობამ იქონია მსჯელობა შემდეგ საკითხზე და დაადგინა:

მთავრობის მიერ მთელი ძალა-უფლების ხელში აღება, რომ სხვადასხვა რევოლიუციონური ორგანიზაციები ხელს არ უშლიდეს, ყრილობა ერთხმად იწონებს მთავრობის გადადგმულ ნაბიჯებს და თავისი მხრით ხელს შეუწყობს ერთი მთლიანი მოქმედების განმტკიცებას. ხოლო ამასთანავე ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ზემო ნახსენები ზომა, ერთი მთლიანი მოქმედების განმტკიცება ვერ გაუგია მთავრობის მოხელეებს (რკინის გზებზეა ეს თუ სხვაგან) და თავის „დამოუკიდებელ" მოქმედებაში არავითარ ანგარიშის გაწევას არ აპირებენ საზოგადოებრივ შეხედულებასთან, რომლის გამომხატველია სხვადასხვა რევოლ. ორგანოები და ამგვარად ემჩნევა მათ (მოხელეებს) ძლიერი ტენდენცია თვითნებობისა, რის აუცილებელ შედეგად მივიღებთ გარდა ბოროტმოქმედებისა, ერთგვარ ბიუროკრატიზმის განმტკიცებას".

ერობის არჩევნების შესახებ შორაპნის მაზრაში, მოხსენებას აკეთებს ოლ. ბაქრაძე.

შორაპნის მაზრა დაყოფილი იყო ხუთ რაიონად, მეექვსე რაიონი იყო თვით ყვირილა, სადაც პარტიამ გაიყვანა თავისი წაყენებული კანდიდატი ამხ. პ. გოგიაშვილი. დანარჩენ რაიონებში უმრავლესობა ჩვენმა პარტიამ მიიღო, მაგრამ საარჩევნო ყუთთან იმდენი ამრჩევლები არ მოსულან, როგორც დამფუძნებელ კრების დროს. ხალხი ხალისით არ ეკიდებოდა არჩევნებს, მაგრამ მიუხედავათ სარჩევნო გულ-ციობისა, მთელს მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 19787 ამრჩეველმა, ამ გვარად შორაპნის საერობო არჩევნებში გაიმარჯვა ბლოკის სიამ № 1 მა. 44 ხმოსნებიდან სოც.-დემოკრატებს ჰყავთ 18 ხმოსანი სოც. ფედ. 10, ს. რევ. 6, და ნაც. დემოკრატებს 10 ხმოსანი. მომხსენებელს შეეკითხენ იყო თუ არა სასარგებლო სოციალისტურ პარტიებთან შეერთებული გამოსვლაო, რაზედაც მან უპასუხა, რომ ჩვენი პარტია გაცილებით მეტ ხმებს მიიღებდა, რომ ცალკე გამოსულიყოო.

მიწის რეფორმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პ. მეტრეველმა. ის ამბობს, რომ ჩვენმა დემოკრატიამ უნდა გადაჭრას მიწის საკითხი, დაყოვნებას დრო აღარ ითმენს. ფეოდალური ნაშთები უნდა მოისპოს მემამულეებისაგან დიდი მამულების ჩამორთმევით, ამას მოითხოვს რევოლიუციის ინტერესი და მისი განმტკიცება. ის ემხრობა მიწის კერძო საკუთრებათ გადაცემას გლეხებზე. იწყება კამათი. მუნიციპალიზაციის მომხრეთ გამოდის ამხ. ედიბერიძე და ბ. ნებიერიძე. საკითხის გარკვევის შემდეგ

რა პირობებში აღორძინდება რუსეთი ეს ღმერთმა იცის.

ხალხი, მინამდის მიახწევდეს ამას, უნდა ბევრი რამ გაითვალისწინოს, მაგრამ თუ ამას დავემყარებით და არავითარ ზომებს არ მივიღებთ და გადავდებთ ყველა კითხვების გადაწყვეტას—ეს შეუძლებელი იქნება. არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავტოვოთ რუსეთის მიწა—სოჭის და გაგრის ოლქები.

გეგეჭკორი. იქ 22 პროც. ქართველები არიან და რათ იღებს თავის თავზე ამ ოლქების დაცვას მოხალისეთა რაზმი, და ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ეს უფლება ქონდეთ ქართველებს. მით უმეტეს ჩვენ გვაქვს საქმე ყველა ადგილობრივ დემოკრატიულ და პარტიულ დადგენილებებთან, სადაც ისინი მოითხოვენ, რომ სოჭის ოლქი დარჩეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, ამ დადგენილებებს რომ არ გაუწიოთ ანგარიში არ შეიძლება.

ალექსეევი. მაგრამ იმ თქვენისავე ანგარიშით 78 პროც. არა ქართველები არიან. და თუ თქვენი მიზანია დაიცვათ და უზრუნველჰყოთ მცხოვრებთა მშვიდობიანობა, ჩვენც შეგვიძლია ამის შესრულება და თუ ვერ შევძლებთ, მაშინ დახმარებას საქართველოს მოვთხოვთ. რუსის ხალხს ისეთი ამაგი აქვს ამ ოლქებში, რომ მისი აგრე უცბათ მოწყვეტა რუსეთიდან შეუძლებელია.

ვორობიოვი. საქართველოს პატივცემულ წარმომადგენელს ჩემ დებულებებში ეჭვი შეაქვს. მე ვამტკიცებ, რომ ხოსტის მცხოვრებს ჩვენ ვიცნობთ და გეგეჭკორის აზრი შემცდარია. პლასტუნში—მართალია არიან ქართველები, ეს ერთად ერთი ადგილია. და თუ მივიღებთ იმ პროცენტებს, რომელიც აქ ბ. გეგეჭკორმა წარმოგვიდგინა, მაშინაც გამოდის, რომ რუსები მეტნი არიან. და თუ მივიღებთ აგრეთვე მხედველობაში რამდენი რუსის ფული დახარჯულა, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ის ალაგები რუსების კუთვნილებაა. მე არ განმიზრახავს აფხაზეთის დაცვა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ყოველ მხრივ ხელსაყრელია ჩვენთვის აფხაზეთის საზღვრები.

ალექსეევი. ჩვენ მივედით იმ კითხვამდე, როდესაც უნდა შევიტყოთ თანახმა არიან თუ არა საქართველოს წარმომადგენელნი იცნონ, რომ ეს ოლქები რუსეთს უერთდებიან. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლიან ჩვენ სხვა საგნებზე ვილაპარაკოთ. სხვა ყველაფერი მალე და ადვილათ გადასწყდება.

გეგეჭკორი. მე უკვე განვაცხადე, რომ სოჭი ადგილობრივ მცხოვრებთა სრული თანხმობით უნდა დროებით დარჩეს საქართველოს ფარგლებში. მე მოვითხოვ ამას.

ბიჩი. თქვენი პასუხი დამოკიდებულებაშია თუ არა დანარჩენთა აზრებზე.

გეგეჭკორი. დიახ!

ბიჩი. საქართველო?

გეგეჭკორი. თავისი საკუთარი გარდაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც მაქ მოცემული დირექტივები.

ალექსეევი. ვწყვეტ კრებას ათი წუთით, რათა შეძლება გვქონდეს მინამდის დავხურავდეთ კრებას, კიდევ ვითათბიროთ.

შუადღის 12 საათზე კრება გაიხსნა.

ალექსეევი. კრების დროებით შეწყვეტა ეს იყო უკანასკნელი ცდა, რათა მიგვეღო ორივე მხრისთვის მისაღები გადაწყვეტილება. ვთხოვ, საქართველოს წარმომადგენელს შესცვალეს მათ თავიანთ გადაწყვეტილება თუ არა?

გეგეჭკორი. რადგანაც მდგომარეობა სერიოზულია, მე კიდევ ვიმეორებ, რომ იმ მიზნების განხორციელებასთან, რომელიც განუზრახავს მოხალისეთა ჯარს, სოჭის კითხვა არაა ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელთათვის, რომ კითხვა ასე კატეგორიულათ დაისვას. მე ვფიქრობ, და მგონია, რომ ყველანიც ასე ფიქრობენ, რომ ობიექტიურათ განხილვა კითხვისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მომენტს თავმოყვარეობისას, შეძლებას იძლევა გადავწყვიტოთ ჩემ მიერ წამოყენებულ წინადადებისამებრ. მგონია სავსებით მისაღებია ჩვენი ფორმულა. დროებითი დარჩენა სოჭის ოლქისა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

ალექსეევი. ჩვენი და საქართველოს შეხედულებანი ასე ცხადად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ეს ცხადს ყოფს, რომ შეუძლებელია სხვა კითხვები გაირჩეს. რადგანაც სამხედრო პოლიტიკური კითხვები არ გადასწყდა ერთი ერთმანეთის დათმობით, რასაკვირველია შეუძლებელია სავაჭრო-სამრეწველო კითხვების გარჩევა მოხდეს. ჩემდა სამწუხაროთ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი თათბირი დახურულია, რომელმაც არავითარი შედეგი არ მოგვცა. მე ვფიქრობ, რომ ზომიერება და სამართლიანობა უნდა იყოს ყველაფერში. თქვენ არ გაგირკვევიათ მომავალი მდგომარეობა აფხაზეთისა და ეპოტინებით წმინდა რუსულ მიწებს. ამისათვის მე ვიცი, რომ თქვენ აქ ვერ იპოვნით მომხრეებს. ჩვენ როგორც იქნება ვიცხოვრებთ და განვაგრძობთ ჩვენ მუშაობას და თქვენ კი იქნებით დამოკიდებული იმ რუსეთის რაიონებზე, რომლებიც მოგცემენ თქვენ პურს და სხვას. გერმანელებს თქვენთვის ცოტას მოცემა შეუძლიანთ, თქვენი არსებობის წყარო აქ არის. მართალია ჩემთვის საწყენია, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ რადგანაც უმთავრეს კითხვაში ვერ შევთანხმდით ვსთვლი თათბირს დახურულათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება ემხრობა შემდეგ გადაწყვეტილებას:

ჩამორთმეული მამული გადაეცეს კერძო საკუთრებათ გლეხებს, იმ ხარჯების ანაზღაურებით, რომელიც მოყვება მიწის ჩამორთმევას, მიწები გადაეცეს მათ, ვინც მოკლებულია ამ უკანასკნელს.

პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. გოცაძე მომხსენებელი აღნიშნავს პარტიული მუშაობის შეჩერებას საერთოდ ანარქიის გამო, მაგრამ ასე თუ ისე მუშაობა მაინც იყო, რკინის გზებზე მოეწყო ქვეკოლექტივები, და რამოდენიმე სოფელშიდაც მოეწყო სოფლის ორგანიზაციები, მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მოკლე ხანში მთელ რაიონებში აღსდგება პარტიული წრეები, რაიც გაგვიადვილებს მუშაობასო.

მოხსენებები გააკეთეს ადგილებიდან ხუთმა სოფლელმა ამხანაგებმა და აღნიშნეს სოფლად პარტიული მუშაობის გამოღვიძება. დღიურ წესრიგში დასმულ იყო სარევიზიო კომისიის მოხსენება, მაგრამ რადგან კრებას აკლდენ შორაპნის დეპოს ამხანაგები, ამიტომ მოხსენება გადაიდო შემდეგი კრებისათვის.

მიმდინარე საკითხების შესახებ ლაპარაკობს ამხ. პ. გოგიაშვილი ის აღნიშნავს ადგილობრივი მილიციის მდგომარეობას, რომ მილიციას არა ჰყავს ცხენები, შორაპნის მაზრაში ყაჩაღობა ფეხს იკიდებს, რაიც ფრიად ზიანს აყენებს ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ამიტომ კრებას წინადადებას აძლევს ეცნობოს მთავრობას, რომ ადგილობრივ კომისარიატმა მოახდინოს მილიციისთვის ცხენების რეკვიზიცია, როგორც ჯარისთვის, რადგან ეს არის ერთად ერთი საშუალება, რომ მილიციას შეეძლოს შეებრძოლოს ყაჩაღებს და აგრეთვე აღიძრას შუამდგომლობა მილიციას მოემატოს ჯამაგირები, რაიცა კრებამ ერთხმად მიიღო, და გადაწყვეტილებაც გაეგზავნა სადაც ჯერ არს. მიმდინარე საკითხებში აგრეთვე განხილულ იყო ჯარში გაწვეულ დედის ერთა შვილების შესახებ. ამ საგანზე პ. გოგიაშვილი იძლევა განმარტებას, რომ ერთად ერთი შვილის გაწვევა დიდ უსიამოვნებას ბადებს, მით უმეტესად რომ, მრავალ შემთხვევაში რჩება განზე მოხუცი მშობლები ღვთის ანაბარად, ამის გამო ამხ. გოგიაშვილი ყრილობას წინადადებას აძლევს, რათა მთავრობამ მოახდინოს განკარგულება განთავისუფლებულ იქნეს დედის ერთა შვილები, ყოველ შემთხვევაში ისეთები მაინც, რომელთა დავრდომილი მშობლები შიმშილის მსხვერპლი უნდა გახდენ.

უკანასკნელ განკარგულებას სამხედრო ბეგრის შესახებ, რომელიც ანთავისუფლებს 18 სახევრ. წლიანებს, მაგრამ ვინც გაწვეულია ისინი ჯარშივე რჩებიან, ეს იწვევს სამართლია გულის წყრომას. ამიტომ კრებას საჭიროდ მიაჩნია აღძრას ამის შესახებ შუამდგომლობა მთავრობისადმი, რაიც შესრულებული იქნა.

სარევიზიო კომისიაში ამხ. ლევან ბუაძის მაგიერ არჩეულ იქნა ვლ. გოცაძე. კრება დაიშალა საღამოს 7 საათზე. შემდეგი საერთო კრება მოწვეულ უნდა იქნეს 25 ოქტომბერს, რომელზედაც უნდა მოხდეს პარტიული კოლექტივის რეორგანიზაცია.

ვერხვი.

—

ქ. გორი. 25 ენკენისთვეს შესდგა გორის მაზრის სოც.-დემ. მუშ. პარ. ცენტრალური კომიტეტის კრება. წარმომადგენლები დაესწრენ ყველა რაიონებიდან გარდა სურამის და ახალქალაქისა. თავმჯდომარის ამხ. ნ. იმნაიშვილის წინადადებით ცენტრის კრება ფეხზე ადგომით პატივს სცემს საქართველოს პარლამენტის წევრის გარდაცვალებულ ბელეტრისტის ამხ. არსენ მამულაიშვილის ხსოვნას.

დღიური წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან; 2) გომის რაიონის კომისრის ბურბუთოვის მოქმედება; 3) პარტიული ორგანიზაციების რეგისტრაცია მაზრაში; 4) მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწის ნადირაძის შესახებ; 5) საადგილ-მამულო რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები; 6) სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტში ერთი წევრის არჩევა; 7) ჯავა-ცხინვალის რაიონებში საერობო არჩევნები და ხმოსანთა კანდიდატების სია; 8) მიმდინარე საკითხები და განცხადებები.

ამხ. ნოსიძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბორჯომში პარტიული მუშაობა განელებულა, ამისთვის ხელი შეუწყვია აწყურის ფრონტის გაჩენას და საერთოდ ანარქიულ გამოსვლებს მაზრაში. ყველა ამხანაგები ამის გამო ყოფილან ჩარეული თავდაცვის საქმეში და პარტიული მუშაობა შეუწყდარა. ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა ბორჯომელ ამხანაგების სისუსტე პარტიულ მუშაობაში და წინადადება მისცა ბორჯომელ ამხანაგებს დაუყონებლივ შეუდგენ პარტიულ მუშაობას და ორგანიზაციის მოწყობას და ამასთანავე აგონებს მათ, რომ ისინი ხშირათ არ ესწრებიან ცენტრის კრებას. ამხ. მინაზაროვის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გორელი ამხანაგები შესდგომიან პარტიულ მუშაობას და ხდება წევრთა რეგისტრაცია. მალე გორში იქნება შემდგარი ახალი ს. დ. კომიტეტი.

ცხინვალის რაიონიდან მოხსენება გააკეთეს ამხანაგებმა ბიბილოვმა და გაბუნიამ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მდგომარეობა ქართველებსა და ოსებს შორის ძლიერ გაუმჯობესებულა. თვით ოსეთი გამოფხიზლების გზას დადგომია და ანარქიული გამოსვლები მოსალოდნელი არ არის, მხოლოდ ოსეთს აწუხებს ყაჩაღთა ბრბო, რომლის წინააღმდეგ უკვე ზომებია მიღებული და ჯავის რაიონის კომისარი ცხოვრებაშვილი დიდ ენერგიას იჩენს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ორგანიზაციების მოწყობაში დიდ დახმარებას უწევს ცხინვალში ადგილობრივ ამხანაგებს მ. კლიმიაშვილი.

ქარელის რაიონში ორგანიზაცია სასურველ ნიადაგზეა დაყენებული და დიდი მუშაობა გაუწევია ხსენებულ ორგანიზაციას საერობო არჩევნებში. 12 ენკენისთვეს ცენტრალურ კომიტეტის კრებაზე განცხადება შემოვიდა ქარელის რაიონის კომისრის მეფარიშვილის უმოქმედობის შესახებ, ამის გამო ცენტრალური კომიტეტის კრება წინადადებას აძლევს ხსენებულ კომისარს, გამოიჩინოს მეტი ფხა, ენერგია და გაბედულობა თავის მოვალეობის შესრულებაში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა გომის რაიონის კომისარი ვ. ბურბუთოვი ძლიერ შეჰჩვევია გლეხების სისტემატიურათ ლანძღვას, ცემას და სხვ. ყოფილა შემთხვევაც, რომ ბურბუთოვს რევოლვერი უსვრია გლეხისთვის. ერთ ცენტრის წევრის თვალისწინ ბურბუთოვს ერთი გლეხი ულანძღია უშვერი სიტყვებით, სილა გაურტყამს და შემდეგ მათრახითაც გამასპინძლებია. ყველა ამის გამო ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: ვიღებთ-რა მხედველობაში ამხ. ცენტრის წევრების თვალით ნახულს კომისარ ბურბუთოვის მოქმედების შესახებ, ეთხოვოს სამაზრო ადმინისტრაციას, რომ კომისარი ვ. ბურბუთოვი გადაყენებულ იქნას თავის თანამდებობიდან.

სოც.-დემ. ორგანიზაციების რეგისტრაციის შემდეგ გამოირკვა, რომ გორის მაზრაში არსებობენ შემდეგი პარტიული ორგანიზაციები: 1) ხაშურის, 2) სურამის, 3) ქვიშხეთის: 4) ბეკამის (ქვიშხეთის საზოგ.), 5) თაგუეთის (ხცისის საზ.), 6) ყელეთის (ხცისის საზ.), 7) ზღუდერის, 8) გიორგიწმინდის (ავლევ. საზ.), 9) მურღნისის (ავლევ. საზ.), 10) სხლითის (ავლევ. საზ.), 11) ზემო-გომის, 12) მოხისის, 13) ქვენა-ტკოცის (მოხისის საზ.), 14) სად. აგარის, 15) ბრეთის (დირბის საზ.), 16) ვაყის, 17) ბრილის (ალის ს.), 18) ქარელის, 19) რუისის, 20) ქვემო-ჭალის, 21) მეჯვრისხევის, 22) გორის, 23) წრიფის, 24) ცხინვალის და 25) ბორჯომის. სულ 25 ორგანიზაცია.

გორის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწის პ. ნადირაძის შესახებ ცენტრის კრებამ მოისმინა გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" № 416 მოთავსებული წერილი „№ 1" ფსევდონიმით, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ნადირაძე, ძველი მთავრობის დროს მსახურებდა ქ. ბაქოში საიდუმლო პოლიციის აგენტათ და შემდეგ სხვადასხვა ბოქაულებთან მწერლათ, რომლის დროს სახელი გაუთქვამს მექრთამეობით, აგრეთვე ყოფილა სასტიკი მდევნელი ჩვენი პარტიული ამხანაგების.

ამის გამო ცენტრალური კომიტეტის კრებამ დაადგინა ეთხოვოს სამაზრო ადმინისტრაციას, რომ დაუყონებლივ პ. ნადირაძე იქნას გადაყენებული თავის თანამდებობიდან და ბრალდება გამოძიებული. საადგილ მამულო რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ ევალება ყველა ამხანაგებს წერილობით აცნობონ სასოფლო კომისიას ყოველივე იმ პირთა შესახებ, რომელთაც რაიმე უკანონო მოქმედება მიუძღვით, როგორც მოქალაქეთა, ისე მთავრობის წინაშე, შესაფერ ზომების მისაღებათ მათ წინააღმდეგ.

გორის მაზრის საადგილ მამულო კომიტეტის გამგეობის წევრათ იქნა არჩეული ამხ. პორფილე ეფრემიძე.

ცენტრალურ კომიტეტის კრებაზე შემოვიდა განცხადება დავით ჯავახიშვილისა, შესახებ იმისა, რომ ის უსამართლოთ დაისაჯა და ითხოვდა გამართლებას, მაგრამ ცენტრის კრებამ გორის კოლექტივის დადგენილება ჯავახიშვილის პარტიიდგან გარიცხვის შესახებ დაადასტურა. ახალქალაქის რაიონიდან შემოსულ განცხადების შესახებ რაიონულ კომისრის მ. ლაშქარაშვილისა, რომ ის არ ემორჩილება პარტიულ ცენტრის გადაწყვეტილებას სხვა რაიონში გადასვლაზე, ცენტრალურ კომიტეტმა დაადგინა, რომ წინანდელი ცენტრის კრების დადგენილება ძალაში დარჩეს.

ვალიკო.

პროვინცია

ს. საგარეჯო. (გარე-კახეთი). 30 მარიამობისთვეს შესდგა დრამ. საზ. და სამკითხველოს გამგეობის შეერთებული წლიური კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება დრამ. საზ. გამგეობისა, 1917 და 1918 წლების ხარჯთ-აღრიცხვა, ახალი გამგეობის არჩევა და საგარეჯოში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. კრებას ხალხი ბლომათ დაესწრო. თავმჯდომარეთ აირჩიეს ექიმი ფალიაშვილი.

მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ა. ლეჟავამ, რომელმაც გულახდილათ აღიარა გამგეობის უმოქმედობა, ერთი წევრის, დარო მაისურაძის გამოკლებით, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ენერგიულათ მუშაობდა. კრებამ საყვედური გამოუცხადა გამგეობას; ამან კი ძალიან გააწყენინა გამგეობის წევრი ნიკო ბაზიეროვი, რომელმაც პროტესტი გამოუცხადა კრებას, რამაც უკანასკნელი მეტათ აღელვა.

1917 წლის ხარჯთ აღრიცხვიდან გამოირკვა, რომ წმინდა შემოსავალი დარჩენილა 1392 მ. 20 კ.; 1918 წლის—1818 მ. 50 კ. ხარჯთ-აღრიცხვა დაუმტკიცებელი დარჩა, რადგანაც სარევიზიო კომისიის წევრი მღვდელი ბურთიკაშვილის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მან ვერ შესძლო აღედგინა თეატრის რეკვიზიციის და სხვა ქონების მდგომარეობა, ვინაიდან ყველა ამის ნუსხა ქონებია ნ. ბაზიეროვს, რომელიც არავის არ აძლევდა და ამიტომ თეატრის ქონება თითქმის სულ დაკარგულია. რადგანაც სარევიზიო კომისიაში დარჩენილა მხოლოდ მღ. ბურთიკაშვილი, ამიტომ მიუმატეს ორი წევრი, დაავალეს სასტიკი გამოძიება მოახდინონ და შემდეგ კრებას წამოუყენონ.

ამით დაიხურა კრება.

სად. საგარეჯოსთან დასახლდენ 1,800 კაცამდინ ჯავახეთის ქართველი ლტოლვილები, მათ არ გააჩნიათ ლუკმა-პური და დიდ გაჭირვებას განიცდიან; შიმშილით რომ არ დაიხოცონ, დადიან ახლო-მახლო სოფლებში და თხოულობენ, სოფლელები დიდი თანაგრძნობით ეგებებიან და უჩენენ დახმარებას.

რომ უფრო ფართოდ მოეწყოთ დახმარების საქმე, ამისთვის 1 ოქტომბერს შესდგა კრება საგარეჯოს, ნინოწმინდის და გიორგიწმინდის გლეხთა საბჭოებისა, დაესწრენ ლტოლვილების წარმომადგენლებიც. გადასწყდა მთავრობას ეთხოვოს დახმარება იმ ხორბლიდან, რომელიც არის საგარეჯოს კოოპერატივში მოგროვილი, ამისთვის ამოირჩიეს სართიჭალის რაიონის კომისარი შ. ჯაფარიძე და თფილისის მაზრის კომისრის თანაშემწე, რომლებიც იშუამდგომლებენ მთავრობასთან; ადგილობრივათ კი აირჩიეს კომისია, რომელიც შეაგროვებს შემოწირულებებს და გამართავს წარმოდგენას მათ სასარგებლოთ.

საჭიროა ამას მიბაძონ სხვა კახეთის სოფლებმაც და ფართოდ მოაწყონ ლტოლვილების დახმარების საქმე.

ო. მაშოშვილი.

—

ს. ნიგოითი (გამოჩინებულის საზ. გურია). 7 სექტემბერს აქ გაიმართა წარმოდგენა, ხალხი ბევრი დაესწრო და კარგათაც ჩატარდა. ფული შემოვიდა სულ 1167 მ. 60 კ. აქედან გასავალი იყო 389 მ. 40 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა სულ 766 მ. 20 კ., რომელიც განაწილებულ იქნა შემდეგნაირათ: ნახევარი სამკითხველოს და ნახევარი ნიაღვრისაგან დაზარალებულ ოჯახებს.

ხევდა.

—

სოფ. საჯილაო (მარნის საზოგ. სამეგრელო). 29 სექტემბერს მოხდა საერთო კრება. დღიურ წეს-რიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) მომენტი—2) პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, 3) ფოსტა ტელეგრაფი, 4) რკინის გზის სადგური და სხვა. კრებამ მოისმინა ამხ. ალ. კორძაიას მოხსენება მომენტზე. მოხსენების შემდეგ კრების თავმჯდომარე აქვეყნებს რეზოლიუციას, რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული: „მოისმინა რა მოხსენება თანამედროვე მდგომარეობაზე—მომენტზე, მარნის საზოგადოების საერთო ყრილობა ულოცავს ჩვენს მოჭირნახულეს და მოამაგეს უმაღლეს ეროვნულ საბჭოს და ჩვენი დემოკრატიის მიერ სრულის ნდობით აღჭურვილს უმაღლეს მთავრობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცებას გერმანია რუსეთის მიერ ამ დამოუკიდებლობის ცნობათ. ეცნობოს ეს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს და მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას დეპეშით და პრესაშიც გამოქვეყნდეს". კრება ტაშის კვრით ათავებს ამ რეზოლიუციის წაკითხვას და ზოგიერთ წვრილმან კითხვების გარჩევის შემდეგ, კმაყოფილი იშლება.

კრების მონდობილობით ვინკანი.

—

საჩინოს მხარე. დაბა ვანში, მიუხედავათ იმისა, რომ არეული დროა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არაა ჩაყენებული, ხალხი მაინც კულტურულ განვითარების გზაზე აღგია. ამ საზოგადოების წინსვლას ხელს უწყობს ბაზარი, რომელიც შესდგება 200 სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო დუქნებისაგან. აქვე იმართება ყოველ პარასკეობით ბაზრობა, სადაც შემოაქვთ გარეშე სოფლებიდან სხვადასხვა ნაწარმოები. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საჩინოს მხარე ბუნებრივად მდიდარი კუთხეა. აქ მისდევენ ბამბის მოყვანას, დაფნის, ღვინის, თხილის, სიმინდის, აბრეშუმის და სხვა. ტყით და საბალახო მთითაც მდიდარია ეს კუთხე დაბა ვანში. ამ ჟამათ არსებობს 1 ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლ., 1 უმაღლესი დაწყ. სასწავლებელი, 1 ახლად დაარსებული გიმნაზია, სამკითხველო, კოოპერატივი. საზოგადოებას აქვს საკუთარი აფთიაქი თავის შენობით; გაიხსნა საავადმყოფო 12 საწოლით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფი. კერძო პირებს აქვს ბამბის სარჩევი ქარხანა და ხე ტყის დასამუშავებელი ხერხი. თუ ეს საზოგადოება დაიარსებს სახალხო სახლს, სადაც გაიმართება წარმოდგენები და წაიკითხება ლექციები, მგონი ასეთი კულტურული დაწესებულებები საკმარისი იქნება პატარა დაბისათვის. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ეს კუთხე უგზოობის გამო მოკლებულია ქუთაისსა და სამტრედიას შუა იქონიოს მუდმივი კავშირი.

ვანის საზოგადოების მეზობლად არის დვალიშვილების საზოგადოება. ეს უკანასკნელი გაშენებულია მთის ძირას. ეკონომიურად არც ღარიბია ეს საზოგადოება, მაგრამ კულტურულად კი ძლიერ ჩამორჩენილია. აქ არსებობს ორი სამრევლო სასწავლებელი და 1 კოოპერატივი. ამ საზოგადოებაში ჟურნალ-გაზეთების წამკითხველს იშვიათად ნახავთ. აქაური მასწავლებლები სალათას ძილს მისცემიან და ხალხის ჭირ-ვარამზე სრულიად არას ფიქრობენ. აქ ვერ ნახავთ რაიმე ორგანიზაციას, ან გლეხებისას, ან მუშებისას. ეს საზოგადოება უპატრონოთაა მიტოვებული.

დვალი—ბის საზოგადოებას ორი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს. აუარებელი ტყე, რომელსაც ანადგურებენ გლეხები და საბალახო მთა. მეორე არის ბუნებრივად დედა-მიწის გულიდან მოჩუხჩუხე ცხელი გოგირდის წყლები (აბანო), რომელსაც ეპატრონება 300 კომლი კაცი. ეს აბანო ამ სეზონზე გაცემული იყო 6 ათას მანეთად. ამ ფულებით შეეძლო საზოგადოებას რამე კულტურული დაწესებულება გეხსნა, მაგრამ ამისთვის არავის უზრუნია. საჭიროა ასეთ ბუნებრივ სიმდიდრეს, ტყესა და აბანოს ყურადღება მიაქციოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და ეს უხვი სიმდიდრე საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოაცხადოს.

ი. გადიდელი.

წერილები რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოგვითავსოთ თქვენს გაზეთში და ამით საშუალება მოგვცეთ საზოგადოების სახელით მადლობა გამოუცხადოთ ჯავშნიან მატარებლების უფროსს ვალ. გოგვაძეს. თვე ნახევრის წინ შემოქმედის საზოგადოების (გურია) მცხოვრებლებმა ამირჩიეს თავიანთ რწმუნებულად, რათა მეზრუნა აშაგა-სერალიდან რამდენიმე ვაგონი პური გამომეტანა და მიმეწოდებინა ზემო აღნიშნულ დამშეულ საზოგადოებისათვის, იყვნენ ჩემთან ერთად სხვა საზოგადოების რწმუნებულებიც, რომლებთაც თავი მოუყარეთ 8 ვაგონ ხორბალს, რა თქმა უნდა გასატანიც მთავრობიდან სათანადო ნებართვაც გვქონდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ხდება გაფიცვა ტყიბულში და უნახშირობის გამო რკინის გზის მოძრაობა დროებით შეჩერდა. უხერხულ მდგომარეობაში ვიყავით, იქ ჩვენი ამრჩეველთა მდგომარეობა შიმშილის სახით უფრო და უფრო უარესდებოდა, ამ დროს სწორედ დახმარება გვიჩენს ყველასთვის ცნობილი ჯავშნიანების უფროსი ვალ. გოგვაძე, მან დაგროვილ ხორბლის გურიისთვის სასწრაფო მიწოდება თავის თავზე იდვა, და თავის ჯავშნიანით, 8 ვაგონი ხორბალი თავ თავის ადგილზე ჩაგვაბარა, და მით გურიის უმეტეს ნაწილს შიმშილის საშინელება თავიდან ააცილა—რისთვისაც ულრმეს მადლობას უძღვნით მთელი შემოქმედის საზ. სახელით.

შემოქმედის საზ. მონდობილობით ხეფე ალ. მახარაძე.

განცხადებანი

ექ. დიასამიძემ განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

1 მარიამობისთვეს სახლიდან წავიდა **მირიან გოგოლაძე** და მას შემდეგ არაფერი არ ვიცით მშობლებმა. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობოთ მის შესახებ შემდეგი მისამართით: ჩოხატაური, მიხაკო გოგოლაძეს.

7 ოქტომბერს რკ. გზით მოგზაურობის დროს

დავკარგე

უბის წიგნაკი, პირადობის მოწმობა, თოფის და რევოლვერის ტარების ნებართვა, რომელიც მოცემული იყო სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან და ჩემი სიმამრის, ივანე მონასელიძის სახელზე საკრედიტო მოწმობა № 2565. 1637 მ. 50 კ. თანხის. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ვლადიმირის ქ. № 5 (მე 11 სამილიციო უბანი) **ალექსანდრე პაპინაშვილს.** მომტანი მიიღებს საჩუქარს.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის საექიმო კაბინეტები
თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ე ქ ი მ ი
ლ. ა. სარალიძე
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. აფხალის აუდიტორიის ახლო.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ე ქ ი მ ი
ა. ნ. [illegible]
იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. [illegible] ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი ზ. ვ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დავით მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. საგანიშვილისა. ტელ. № 5—77

ე ქ ი მ ი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

ე ქ ი მ ი
ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

ექიმი დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
პეპელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეზხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26.

ქ. ხ ო ნ ი.
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ქართული საამშენებლო-სამრეწველო და სავაჭრო აქციონერი
საზოგადოება „ოქროს ვერძი"
ამით აცხადებს, რომ წესდების § 50 და 52 თანახმად ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ფოთის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების შენობაში ქ. ფოთში შესდგება აქციონერების საგანგებო
საზოგადო კრება.
დღის წეს რიგში შემდეგი საკითხებია: 1) ვადის დანიშვნა და იმის შემდეგ საა ციო შემოსატანი ფულის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც გაწერილია და ფუძნებელ-აქციონერთა შორის. 2) გამგეობის ერთი წევრის გამოცვლა (§ 40).
(2—2) გამგეობა.

სოფლის კოოპერატივების საყურადღებოდ.
თფილისის მომარაგების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მას აქვს გადადებულ სოფლის კოოპერატივებზე გასაყიდად **ასი ათასი წყვილი საცვალი** (თეთრეულ ნარმისა (ბიაზისა). **წყვილი ღირს ხუთი თუმანი.** მისამართი: მომარაგების კომიტეტი, თფილისი, შტაბის ქუჩა, 2.